



# ილორი

www ilori.ge



№ 57 (118) 9 მარტი 2010    სანქსო    მოქრათვა    "სამეგრელოს" ორგანო    50 თეთრი



ერთი წამით მინდა წამოვაცენო საფლავიდან აზროვნებისა და ხალხთა შორის დანთებული სიყვარულის ეს დევგმირები და წარმოვიდგინო, თუ რას იტყოდა დიმიტრი გულია ერთმანეთზე ვიღაცის ბოროტი ნებით შემკვდარ აფხაზ და ქართველ ბიჭებზე:

“მდინარე ენგურის შუაგულში გავაკეთოთ ხელოვნური კუნძული, ზედ აღვმართოთ ხელთუქმნელი ძეგლი და მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად კვარცხლბეკს გავუკეთოთ შემდეგი წარწერა: “ისინი იბრძოდნენ სამშობლოსათვის”!


2

**სარგაი კრავლიოვი-  
ლავრენტი ბერია**

— **მეოცა საუკუნის  
საუკეთესო მენეჯერი**




ბაზეთი "ილორი" უკვება რეპრეზანტან "საუბეთსო საუბუბური კლუბი"



**“რეალი”,  
მადრიდი,  
ესპანეთი**

12

## მებრუღი პოეზიის რეფსოდია პოეტი ლაშა ბახარია



5



**ალექსანდრე ჭაჭია:**  
**საქართველოდან  
წარბზავნილი  
დამკვირვებლების  
„დუსანტი“ –  
მსოფლიო ისტორიაში  
უკრეცედენტო  
შემთხვევა**

3

**ტროსკის ბრიტანელი  
მეკვიდრეები ანუ როგორი  
იქნება მსოფლიო  
გლობალიზაციის შედეგ 6**

**რას ნიშნავს  
სიტყვა  
“ეუროპა”**

8



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბორჯინის სამსახურებრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიაგლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბორჯინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

9



**საქართველოს  
საბარო პოლიტიკა  
და დიპლომატია  
1918-1921 წლებში**

7



# ტალანტები არ ხდებიან, ტალანტებად იბადებიან...

“მდინარეები ფეხადგმული გზებია, რომელთაც მიყვარებოდა იქით, საითაც გზა გვიტყვის, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც აღმა მიუყვებიან წყლის მდინარეებს და იმდენად ღრმა კვალს სტოვებენ მის კალაპოტში, რომ დგარცოფიც კი ვერასოდეს ახერხებს მის წაშლას!” – დიდი მოაზროვნის, თავზარდამცემი გენიის მქონე მწერლისა და ფილოსოფოსის ბლეზ პასკალის ეს სიტყვები არავის მიესადაგება ისე, როგორც პატარა აფხაზეთის დიდ შვილს დიმიტრი გულიას, რომელმაც ჭეშმარიტად წარუხოცელი კვალი დასტოვა არა მხოლოდ ამ უადრესად ნიჭიერი და ამაყი ხალხით დასახლებული ქვეყნის ცხოვრებაში.

დიმიტრი იოსების ძე გულია 1874 წლის 21 თებერვალს დაიბადა აფხაზეთის ერთ-ერთ უღამაზეს სოფელ უარნაში. ეს ის პერიოდია, როცა რუსეთის უკიდურესი სივრცეში დასახლებული ხალხები თანდათან იწყებდნენ გაუნათლებლობის სიბნელიდან გამოსვლას, ქვეყნად სოკოებივით მრავლდებოდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებები და სკოლები... მაგრამ, შესაბამისი განათლების მიღება მაინც თავადახსურთა წრის წარმომადგენლებსა და მდიდარი ოჯახის შვილებს შეეძლოთ. დიმიტრი გულიას ოჯახი კი ღარიბი გლეხობის ფენას წარმოადგენდა, მაგრამ ბავშვში იმთავითვე შეიმჩნეოდა დიდი ნიჭი, განათლებისაკენ სწრაფვა და შესაშური შრიმისმოყვარეობა. ამიტომ, ოჯახმა ბევრი რამ გაყიდა იმისათვის, რომ პატარა დიმიტრი გორის საოსტატო სასწავლებელში მიებარებინათ. აქ სწავლის წლებში მტკიცედ ჩამოყალიბდა აფხაზეთიდან ჩამოსული მოკრძალებული ბავშვის ცხოვრებისეული კრედი, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ შეგნებული სიცოცხლე მშობლიური აფხაზეთის კულტურისა და ლიტერატურის განვითარებისათვის მიეძღვნა...

ამ სკოლის სრული კურსის წარმატებით დამთავრების შემდეგ დიმიტრი გულიამ მასწავლებლობას მიაკო ხელი და არაერთი ღირსეული თაობა აღუზარდა როგორც მშობლიურ აფხაზეთს, ასევე სრულიად საქართველოს. ქართველი ხალხი განსაკუთრებულ ხსოვნად ინახავს დიმიტრი გულიას პედაგოგიურ მოღვაწეობას 1924-1926 წლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი ამ პერიოდის პედაგოგიურ საქმიანობას დიდად აფასებდნენ ქართული განათლების სისტემის გრანდები, აკადემიკოსები, დიდი ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, კორნელი კეკელიძე და სხვები, რომელთაც საკვებით სამართლიანად მიანდათ, რომ დაარსებიდან რამდენიმე წელიწადში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო მნიშვნელობის სასწავლო ცენტრად ჩამოყალიბების საქმეში დიმიტრი გულიასაც საკმაოდ დიდი წვლილი ჰქონდა შეტანილი.

ასევე დიდად აფასებდა დიმიტრი გულიას კულტურულ-საგანმანათლებლო და პედაგოგიურ მოღვაწეობას დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც მეგობრობდა აფხაზ შემოქმედთან და სწორედ ამ უნიჭიერესმა ტანდემმა ბევრ სასიკეთო წამოწყებას დაუდო სათავე აფხაზეთისა და საქართველოს ლიტერატურულ და კულტურულ ცხოვრებაში. კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც უდიდეს პატივს სცემდა აფხაზურ კულტურას და ძირძველი აფხაზივით ჰქონდა შესისხლხორცებული აფხაზური ცხოვრების წესი, სიამაყით აღნიშნავდა, რომ დიმიტრი გულიამ იგი მრავალ აფხაზურ საიდუმლოს აზიარა, რამაც მწერლის ლიტერატურულ შემოქმედებაში მკვეთრად გამოსახა აფხაზ გმირთა შესანიშნავი გალერეა და ზოგადად აფხაზური ხაზი.

დიმიტრი გულიამ ვეებერთელა დეპლად დასლო ისტორიულად უმდიდრეს აფხაზურ

კულტურას, რომელიც იმდროინდელ რუსეთში მიმდინარე, ცარისტული ხელისუფლების მიერ თავსმოხვეული დამორგუნველი პროცესების მიხედვით ღამის მინაველებული გახლდათ. ამ მხრივ მართლაც მრავალმხრივი და ფართო გახლდათ დიმიტრი გულიას კულტურულ-საგანმანათლებლო და სამწერლო მოღვაწეობა. ჯერ კიდევ 1892 წელს, მან ცნობილ ისტორიკოსსა და ლინგვისტ კონსტანტინე მაჭავარიანთან ერთად, რუსული გრაფიკის საფუძველზე შეადგინა აფხაზური ანბანი, რამაც დიდი სტიმული მისცა აფხაზეთის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების შემდგომი წინსვლის საქმეს.

როგორც სულმნათი დიმიტრი გულია, ასევე სხვა დიდი მეცნიერი გამოირჩევა და, რომ უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე აფხაზ ერს, მსგავსად კოლხურისა, საკუთარი დამწერლობა არ ჰქონოდა, რომელიც კოლხურთან ერთად ნაიკარგა ისტორიის ჯურღმულებში. მაგრამ ამ საქმეში ჩასატარებელ დიდ კვლევით სამუშაოებს ხელს უშლიდა იმპერიის ხელისუფალთა მიერ შექმნილი ხელფონური ხიბნელები, დრო კი არ ითმენდა და ამიტომაც გადაწყდა ახალი აფხაზური ანბანის შექმნა, რამაც უდიდესი როლი ითამაშა უძველესი აფხაზური კულტურისა და ლიტერატურის ძეგლების შენარჩუნებისა და ახალი ნაწარმოებების შექმნის საქმეში.

დიმიტრი გულიას ლექსთა პირველ კრებულებში, რომელიც 1912-1913 წლებში გამოვიდა დღის შუქზე, განსაკუთრებით იყო ხაზგასმული აფხაზი ერის დაუოკებელი სწრაფვა თავისუფლებისაკენ, ყოველი სახის მხაგვროვისადმი ღრმა სიძულვილი, ყოველი ლექსი უხვად იყო გაჯერებული პოეტის ოცნებით აფხაზი ხალხის უკეთეს მერმისზე, სამშობლოს ძლიერებაზე, მშობელი ხალხის ბედნიერებაზე...

1919-1920 წლებში დიმიტრი გულიას ინიციატივით სოხუმში ჩამოყალიბდა აფხაზურენოვანი გაზეთი “აფანი”, რომლის მთავარ რედაქტორად თავადვე დაინიშნა. შექმნისთანავე იქცა ეს გაზეთი აფხაზი ხალხის იდეურ ორიენტირად და უადრესად ავტორიტეტულ ბეჭდვით სიტყვად, რომელმაც ლიტერატურულ ასპარეზზე გაუხსნა გზა მრავალ ნიჭიერ აფხაზ შემოქმედს. სწორედ ამ გაზეთში გამართული კომპეტენტური მოსაზრებებისა და მწვავე კრიტიკული წერილების გამოქვეყნება შემდეგ გადაწყდა სახელისუფლებო დონეზე, რომ 1921 წელს, მწვავე რევოლუციური გარდაქმნებისა და სოციალური რევოლუციის ფონზე სოხუმში ჩამოყალიბებული პირველი აფხაზური თეატრალური დასი. მართალია, დასის შემადგენლობაში თავიდან ჩართული იყვნენ თვითნასწავლი მსახიობები, მაგრამ მუდმივი შემოქმედებითი ძიების წყალობით სოხუმელთა დასი მოკლე ხანში ჩამოყალიბდა მაღალპროფესიულ შემოქმედებით თეატრალურ კოლექტივად.

დღეს ისტორიკოსთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ აფხაზეთსა და საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლების ჩამოყალიბება მუხრუჭად ექცა ეროვნული პატრიოტიზმის, კულტურისა და ლიტერატურის შემდგომი განვითარების საქმეს, რაც კატეგორიულად არასწორია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ სრულიად ახალი ძალა შთაბერა და დადებითი სტიმული მისცა დიმიტრი გულიას და სხვა აფხაზი მკვლევარებისა და შემოქმედების მრავალმხრივ მეცნიერულ მოღვაწეობას. დიმიტრი გულიას ღამაში ლიტერატურული შემოქმედების – ლექსებისა და პოემების მთავარი თემა გახდა საბჭოთა ხალხის გმირული შრომა, რამაც მოკლე ხანში აქცია დაჭაობებული კოლხეთი და აფხაზეთი უღამაზეს წაღკოტად და მთელ საბჭოთა კავშირში მშრომელთა

დასვენებისა და ეკზოტიკური ხილის მოწვევის ერთადერთ სუბტროპიკულ ზონად. დიმიტრი გულიას შემოქმედებაში ასევე ჭარბობდა ხალხთა მეგობრობა და შრომითი გემირობა, ისტორიული პეროიკა, აფხაზეთის განუყოფელი ბუნება, სამშობლოს დაცვა გარე და შიდა მტრის თავდასხმებისაგან.

საბჭოთა კავშირში გადაიქცა მეორე მსოფლიო ომმა, რომელშიც ჩვენმა უტყუმა, ქედმოუხრელმა ხალხმა ფაშიზმზე გაიმარჯვა დიდი ადამიანური მსხვერპლისა და ტანჯვის ფასად. ამ ომში აფხაზეთმაც დიდი მსხვერპლი გაიღო, მრავალი ოჯახის დედა, ცოლი და შვილი შეიმოსა ძიებით, მაგრამ აფხაზეთმა სამშობლოს მისცა საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ ხარაზია, რომელიც ვაჟაკურად დაეცა მტერთან გამართულ უთანასწორო ბრძოლაში (გაზეთი “ილორი” მალე მიუძღვნის ამ შესანიშნავ მებრძოლსა და აფხაზი ხალხის წილში აღზრდილ გმირს ცალკე წერილს). სწორედ ამ მოვლენებმა ჩამოაყალიბეს ქვეყანაში ახალი შემოქმედებითი პათოსი, რომელშიც განსაკუთრებით გამოირჩნენ იმ აფხაზეთის პირში შემოქმედები, რომლებიც, სამშობლოს სახელით, თვეების განმავლობაში ფრონტის მოწინავე ხაზზე იმყოფებოდნენ, მაგრამ წამითაც არ დაუხვიათ უკან და გმირულად უკუაგდეს კბილებამდე შეიარაღებული მტერი.

ასევე მაღალპროფესიული გახლდათ დიმიტრი გულიასა და სხვა აფხაზ შემოქმედთა ლიტერატურული მოღვაწეობა, რომლებიც ომისშემდგომ მშვიდობიან მშენებლობასა და საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობაზე იყვნენ მოტივირებული. სწორედ ამ პერიოდში ქმნის დიმიტრი გულია პოემებსა და ლექსების ციკლს: “შემოდგომა სოფელში”, “ჩემი ქალაქი”, “გაზაფხული აფხაზეთში”, “ამხანაგს”, “საახალწლო”, “რუსთაველის ძეგლი სოხუმში”, “ტარას შევჩენკო”, “ჯამბული” და სხვა.

შეუფასებელია დიმიტრი გულიას მოღვაწეობა ისტორიულ სფეროში. სწორედ დიმიტრი გულიამ გაფანტა თავის ისტორიულ ნაშრომებში მავანთა მცდარი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აფხაზები ჩრდილოკავკასიური წარმოშობისანი არიან და დაამტკიცა, რომ აფხაზები უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ შავი ზღვის სანაპიროზე. აკადემიკოს სიმონ ჯანაშიასთან ერთად მან დაამტკიცა, რომ კოლხეთის სახელმწიფოს განჩინიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ შავი ზღვის სანაპირო ტერიტორიაზე იხსენიებიან დღევანდელ აფხაზთა წინაპარი აბაზგები, რომელნიც მოძრაობის შედეგად სახლდებიან მდინარეების ბოფსა და გუმისთას შორის ტერიტორიაზე და რომ აფხაზებს, როგორც სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ ეთნოსს, უკვე პრეისტორიულ ხანაში გააჩნდათ სამშობლო. რთული და პასუხსაგებ პრობლემის სრულყოფით ახალი თვალსაზრისით განხილვისა და დებულებათა წამოყენების დროს, შეცდომებისაგან თავის დაღწევა ძალიან ძნელია, აფრთხილებდა მეცნიერებს ივანე ჯავახიშვილი და სწორედ ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით მოუწოდებდა გულია ქართველ და აფხაზ ისტორიკოსებს, რომ მეტი ყურადღებითა რუდუნებით მოჰკიდებოდნენ ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიული წარსული ობიექტურად გაშუქების საქმეს.

პირუთვნელ ლიტერატურულ კრიტიკოსებს არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ დიმიტრი გულიას შემოქმედება ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი მხატვრული დონით და აზრში წვდომის განსაკვივრებელი უნარით. დიდმა შემოქმედმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აფხაზური პროზის განვითარების საქმეშიც. მის კალამს ეკუთვნის პირველი აფხაზური ნოველა “უცხო ცის ქვეშ”, რომელიც 1919 წელს დაისტამბა და რომანი “კამაჭიტი”, რომელმაც 1940 წელს ის-

ილა მზის შუქი. დიმიტრი გულიას პროზაულ ნაწარმოებებში მაღალმხატვრულადაა ასახული აფხაზი ხალხის ღუხჭირი ცხოვრება ცარიზმის ეპოქაში, ამ ქვეყნის ქალთა დამონებული მდგომარეობა, რევოლუციამდელი აფხაზეთის მძიმე ყოფა, ტრადიციები და წინაყველებანი. დიმიტრი გულიას შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ლაკონურობა და აფხაზური ხალხური იუმორი.

აფხაზური თეატრის რეპერტუარში მტკიცედ დამკვიდრდა დიმიტრი გულიას დრამა “ანრდილები”, რომელიც პირველად სცენაზე 1946 წელს დაიდგა. მასვე ეკუთვნის გამოკვლევები აფხაზეთის ისტორიული ხალხური ზეპირსიტყვიერების, ეთნოგრაფიისა და ენის საკითხებზე. სხვადასხვა დროს გამოიცა გულიას შესანიშნავი ნაწარმოებები “აფხაზეთის ისტორია”, “აფხაზთა ნადირობის დეტალები და სამონადირეო ენა”, “თხის კულტი აფხაზეთში” და სხვა. დიმიტრი გულიას კალამს ეკუთვნის აგრეთვე სქელტანინი ქრესტომათიები და სახელმძღვანელოები, აფხაზეთის ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ტერმინოლოგიური ლექსიკონი და სხვა ნაწარმოებები.

ქართულ-აფხაზური მშური ურთიერთობის მეტად დიდმა დიმიტრი გულიამ შოთა რუსთაველის უკვდავი “ვეფხისტყაოსანი”, რომელიც აფხაზურ ენაზე თარგმნა. ასევე თარგმნა და აფხაზურ ენაზე პირადი ინიციატივით გამოსცა მან ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლექსები.

ეს წერილი მინდა დავასრულო დიდი ფრანგი პედაგოგისა და ფილოსოფოსის ჟან-ჟაკ რუსოს სიტყვებით: “ტალანტები არ ხდებიან, ტალანტებად იბადებიან...” სწორედ ამგვარ ტალანტად და მეგობრობის ბურჯად მოველინა ქართველ და აფხაზ ხალხებს დიდი შემოქმედი და მამულიშვილი დიმიტრი გულია!

## რედაქციის კომენტარი

– უბედურება ხშირად წლობით უშხადება ხოლმე ამა თუ იმ ერს მათივე საშოში სატანის მიერ ჩასახული უღირსი შვილების მიერ. ქართულ-აფხაზური საბედისწერო ტრაგიკული მოვლენებიც ბევრად ალბათ იმით იყო განპირობებული, რომ ცოცხლები აღარ იყვნენ აფხაზი და ქართველი ჭეშმარიტი რანდები დიმიტრი გულია, კონსტანტინე მაჭავარიანი, სოკრატ არშა, ბაგრატ შინკუბა, ბორის ადლეიბა, ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ახვლედიანი, კონსტანტინე გამსახურდია, აკაკი შანიძე, სხვანი და სხვანი, რომლებიც ომანხანად შეგვიძახებდნენ. ცოტას ვაკვილავუნებდნენ კიდევ და მანამდე გამოგვაფხიზლებდნენ, ვიდრე იარაღს მიუშვერდით ერთმანეთს. გამოირჩეული არ არის, რომ ჩვენს ურთიერთობებში ადგილი ჰქონოდა გარკვეულ პოლიტიკურ რევეებს, მაგრამ ეს ადამიანები საქმეს ომამდე ნამდვილად არ მიიყვანდნენ. სამაგიეროდ იყვნენ შევარდნაძეები და სხვა არამზადები, რომელთაც საკუთარ ანგარებასა და სიხარბეს ანაცვალეს ქართულ-აფხაზური მრავალსაუკუნოვანი ძმობა და ერთობა და მძა მძაზე მიუშვეს სამკვდრო-სასიცოცხლოდ საბრძოლველად. ერთი წამით მინდა წამოვავნო საფლავიდან აზროვნებისა და ხალხთა შორის დანთებული სიყვარულის ეს დეკვირები და წარმოვიდგინო, თუ რას იტყოდა დიმიტრი გულია ერთმანეთზე ვიღაცის ბოროტი ნებით შემკვდარ აფხაზ და ქართველ ბიჭებს:

“მდინარე ენგურის შუაგულში გაგაკეთოთ ხელოვნური კუნძული, ზედ აღემართოთ ხელოვნური ძეგლი და მათი ხსოვნის შეგვადგასოფრად კვარცხლბეკს გაგუკეთოთ შემდეგი წარწერა: “ისინი იბრძოდნენ სამშობლოსათვის!”

როლანდ ჯალალანია, საპატიო დოქტორი



ალექსანდრე ზაჭია: საქართველოდან წარბაზიანი დამკვირვებლების „დუსანტი“ – მსოფლიო ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა

არაოფიციალური საქართველო უკრაინის პრეზიდენტის არჩევნების პირველი ტურის პროცესში ორი ათასი ფსევდოდამკვირვებლის შეჭრის მცდელობის გამო ერთობ უფროსი თავისი სახელმწიფოს იმიჯის სამუდამოდ შელახვას უკრაინელთა თვალში. ოფიციალური და არაოფიციალური საქართველოს მოსახრებათა განსხვავების განსამარტავად უკრაინაში მერვე ტურის დაწყებამდე ნამდვილი უკრაინისტიები და პოლიტოლოგები ჩავიდნენ. ისინი დამკვირვებლობას არ იჩემებდნენ, პირიქით, კანდიდატთან აბსტრაგირებასა და უკრაინელთა წინაშე, თავად უდანაშაულონი, ბოდიშის მოხდას ლამობდნენ. ქართველი პოლიტოლოგი ალექსანდრე ზაჭია ინტერვიუს ჩაწერისას, ჯერ კიდევ არჩევნებამდე, კიევი კერძო ვიზიტით იმყოფებოდა. ის აბსოლუტურად მხარე უჭერს კოლეგებს და იმედოვნებს, რომ იანუკოვიჩი საქართველოსთან საგიზო რეჟიმს არ გამოაცხადებს. ამის გარანტიად კი მხოლოდ ქართველი პოლიტიკოსების ობიექტური პოზიცია შეიძლება გახდეს. უკრაინა დღეს ერთადერთი დიდი ქვეყანაა, რომელთანაც საქართველოს ჩვენი ეკონომიკისათვის ხელსაყრელი კავშირები გააჩნია. ხოლო, თუ ჩვენი ხელისუფლების გამოისობით საქართველო დიპლომატიურ რეზერვაციებში მოხვედრა ეს მართლაც დამღუპველი იქნება საქართველოსათვის...  
- ბატონო ალექსანდრე, იანუკოვიჩის და-

საწყისში უკრაინაში ორი ათასი ქართველი დამკვირვებლის გამოჩენას მიიჩნევთ თუ არა ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევად?  
- ეს უგვანი აქციაა და მქონებელი არა მარტო როგორც კაცს, რომელიც მეტ-ნაკლებად ერკვევა საარჩევნო ტექნოლოგიებში, არამედ როგორც ქართველსაც. ასეთი მრავალრიცხოვანი რაზმის ამგვარი ვიზიტი ახე პატარა ქვეყნიდან უპრეცედენტო შემთხვევაა მსოფლიო პრაქტიკაში და საქართველოს პრეზიდენტის – სააკაშვილის ბრძოლული ნაბიჯიც. საქმე თეთრი ძაფითაა ნაკერი. ყველაზე მეტად ის მთრგუნავს, რომ საქართველოს არასახარბიელო იმიჯს, რომელიც ბოლო წლებში საერთაშორისო არენაზე შეექმნა, შესაძლოა, იმ სახელმწიფოს იარაღივით დაემატოს, რომელიც მეზობელი ქვეყნის საშინაო საქმეებში ერევა. უკრაინაში ბოვეკთა თუ ნახევრად ბოვეკთა რაზმების გაგზავნა ტერორისტული დესანტის გადასხმას ჰგავს, რომელიც უტიფრად ღამობს, კონკრეტული, არაკანონიერი მეთოდებით გაველნა მოახდინოს საარჩევნო სიტუაციაზე.  
- ვინ არიან სინამდვილეში ეს ფსევდოდამკვირვებლები?  
- ჩემთვის ცნობილია, რომ უკრაინული მხარის მიერ გამოქვეყნებულ სიაში 100-მდე კაცი ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ იდენტიფიცირებულია, როგორც შსს-ს თანამშრომელი, შეიარაღებულ ძალთა მოქმედი ოფიცერი და „მეტროპოლიტენის“

საპატრულო პოლიციის წარმომადგენელიც კი. არ მიკვირს, რომ ბევრმა მათგანმა ანკეტაში სამუშაო ადგილი არ მოუთითა; ეტყობა, მიხვდნენ, რომ „შსს-ს ოფიცრის“ ჩაწერა არ შეიძლებოდა. რაც შეეხება დამკვირვებელთა ამ მასის ძირითად ნაწილს, ის მონ-ამორჩილია. პოლიციის ოფიცრებმა ბრძანება მიიღეს და მის შესაბამისად მოქმედებენ. ასე რომ, ამ ხალხის პიროვნულად გაკიცხვას აზრიც არ აქვს. დამნაშავე ქვეყნის ხელმძღვანელობაა.  
- როგორია საქართველოს რიგითი მოქალაქეების დამოკიდებულება უკრაინაში ქართველ დამკვირვებელთა გამო ატეხილი სკანდალისადმი?  
- საქართველოში აქტიურად მსჯელობენ ამ თემაზე, ბევრი ძალზე აღშფოთებულია, ახლა ხომ კატასტროფულად შემცირდა საქართველოსადმი მეგობრულად განწყობილი სახელმწიფოების რაოდენობა, ქვეყანა პრაქტიკულად, საერთაშორისო ისო-ლაციაში მოექცა. საქართველოს პრეზიდენტთან ურთიერთობა არც ერთ თემოყვარე მსოფლიო ლიდერს აღარ სურს.  
- რაკი ეს ტექნოლოგია უკრაინაში უკვე გამოააშკარავეს, სხვა რა მექანიზმის გამოყენება შეუძლია კანდიდატს კენჭისყრის შედეგებზე ზეგავლენის მოსახდენად?  
- ფიქრობ, ახლა ძირითადი აქცენტი დამკვირვებელთა და ამომრჩეველთა ერთობლივად გამოყენების ტექნოლოგიაზე კეთ-

დება. მაგალითად, ამომრჩეველთა ჯგუფი საჯაროდ განაცხადებს რაიმე დარღვევის თაობაზე, სიბეზღი მათი გვარების არარსებობიდან დაწყებული, და სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს, რითაც საარჩევნო კომისიის წევრების პროვოცირებას მოახდენს. პარალელურად სიტუაციაში ერთგვარად დამკვირვებლები და კომისიის მხრიდან დარღვევები აფიქსირებენ. ეს დარღვევები, თუნდაც უმნიშვნელო, შესაძლოა, სასამართლოში ჩივილისა და კონკრეტულ უბანზე შედეგების ანულორების მიხეზადაც იქცეს. ამ მეთოდს მეტ-ნაკლებად აუცილებლად გამოიყენებენ, რადგან ვიცი, რომ ზოგიერთი პოლიტექნოლოგი სასამართლო სისტემაზე დიდ იმედებს ამყარებს.  
- გამოდის, რომ არჩევნების ჩაშლა სასესიო რეაქტორია.  
- ყველაფერი უკრაინის საზოგადოების პო-ზიციაზე, სასამართლოების პრინციპულობა-სა და კანდიდატთა საარჩევნო შტაბების კეთილსინდისიერებაზე დამოკიდებულია. ამ უკანასკნელთ უნდა გაცნობიერონ, რომ არჩევნების დროს მათი მოქმედება უკრაინის ისტორიაში შევა, ხოლო ისტორიაში შესვლა გამარჯვებულსაც და დამარცხებულსაც კანდი-დატსაც როგორი ნიშნით (პლიუს თუ მინუს) სურთ, მათივე გადასაწყვეტია.  
ესაუბრა  
ევგენი სამოილოვი

პარვის ქალებიდან პარის ქალებამდე

ისტორიაში ცნობილია ფაქტები, როცა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიზეზი ქალი ყოფილა, თუნდაც არაპოლიტიკოსი; და რომ ქალი პოლიტიკოსებს გაცილებით კარგი ინტუიცია აქვთ – უფრო სწორად უკეთ აფასებენ მოვლენებს და შედარებით უკეთესი დიპლომატიებიც არიან.  
ჩვენც გადაწყვიტეთ ქართულ პოლიტიკურ პარნასზე „მოღვაწე“ ქალბატონებზე ვიამბოთ.  
მაშ ასე – „მიშას კარის ქალები“ – ვინ არიან ისინი?  
პრეზიდენტის რეზიდენციაში თითქმის ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ქალბატონია. ადმინისტრაციის უფროსი ქალია (ეკატერინე შარაშენიძე), პრესსპიკერიც (მანანა მანჯგალაძე) მისი დაქვემდებარებული პრესსამსახურებით, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსიც (მარიკა ვერულაშვილი), აღრაფერს ვამბობთ ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ხელისუფლების ქალბატონ წარმომადგენლებზე.  
მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტებისთანავე დაიწყო მისი კრიტიკა, როგორც სუსტი სქესისადმი განსაკუთრებულად განწყობილი ადამიანისა.  
არა ერთხელ გვინახავს კონცერტებზე მონაწილე ქალბატონებს ქვეყნის პირველი პირი ხელში ბურთით როგორ აიტაცებდა (ნინო ანანიაშვილი, ნინო სუხიშვილი, და სხვ). ყველას ახსოვს, ალბათ, თავისუფლების მოედანზე უკრაინელი რუსლანას კონცერტი, რომელიც მილიონობით დოლარი დაჯდა. კონცერტის შემდეგ მღერ გაირკვა, რომ რუსლანა პრეზიდენტის ფავორიტი მომღერალი ყოფილა და ამიტომაც შეირჩა სოლო კონცერტისთვის. მიხეილ სააკაშვილის სტუმრები არა ერთხელ ყოფილან უკრაინელი ქალბატონები, ზოგი „მასაჟისტისა“ და ზოგიც მომღერლის სტატუსით.  
პრეზიდენტის „კარზე“ იყვნენ ისეთი ქალბატონებიც, ვის სიტყვასაც „განსაკუთრებული“ მნიშვნელობა ჰქონდა მიხეილ სააკაშვილისთვის და ხშირად მის აზრს ითვალისწინებდა.  
ერთ-ერთი ასეთი უკრაინელი ქალი მოროშინაა.  
მოროშინა თავის წიგნში „მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი“ ერთ ასეთ ეპიზოდს იხსენებს:  
„გიორგიმ (იგულისხმება გიორგი კანდელაკი) „ისტორიული გადაწყვეტილება“ მიიღო – „მოქალაქეთა კავშირის“ სიით კენჭი ვყარა.  
გიორგიმ სულ უფრო ხშირად სტუმრობდა კანცელარიას. ჩემი ყოველი ნაბიჯი კი „ნაციონალური მოძრაობის“ პიარად

ალიქმებოდა. ჩვენ, ფაქტობრივად, სხვადასხვა ბანაკში აღმოვჩნდით.  
ერთ დღესაც კი სამსახურში მომაკითხა და მისი პირველი სიტყვები იყო:  
- მიჯერენ, ლალი.  
- კი მაგრამ, რაზე? – დავსვი ლოგიკური შეკითხვა.  
- შენ არ იცი, ადრე მე და ჩემს სიმამრს მიღების ბიზნესი გეჭონდა გორსა და კასპში, მაგრამ ეს დიდი ხნის წინ მიძინებული საქმეა, ახლა კი თავიდან ჩიქნინა, სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.  
- მერე გორელი არა ხარ? ვერაფერს შერებ? – ვითხე გაცვიფრებულმა.  
- ვერა, პირდაპირ სააკაშვილის ინტერესიაო. გადამარჩინე, დაურეკე.  
- შენც და შენი სიმამრიც? – სარკასტულად ვიკითხე მე. გიორგი კარგად ხვდებოდა ამ შეკითხვის არსს.  
- დაურეკე შენს მეგობარს! – კატეგორიულად მოითხოვდა გიორგი.  
- კარგი, ახლავე დაურეკავ შენს თვალწინ, – და ტელეფონში მიშას აბდაუბდა ტელეფონის ნომრის ძებნა დავიწყე.  
- არ მითხრა ახლა, რომ მაგ სპორტსმენზე მირეკავ, თორემ არ ვიცი, რას გიზამ.  
- ვა, როგორ მიხვდი?  
- რა მიხვედრა უნდა, ტელევიზორს არ უყურებ? დღეს გორში მაგის რობოტებმა ოქრუა შეიღეს სცემეს; ჰოდა, ჩახსდებიან ეგაც და მაგის სიმამრიც კარგა ხნით.  
- მიშ, მომისმინე, მოდი, ეს ამბავი გაგაჰყვიენდოთ, ამ ერთხელაც დამიჯერე, – ვთხოვი მე, მაგრამ, როგორც ჩანს, მიშა რადიკალურად იყო განწყობილი, – კარგი, ახლა მე ლოგიკურად ვიმსჯელოთ, – გადაეგე მე ქალურ თვალთმაქცობაზე. – შენ ახალგაზრდა, პერსპექტიული, მომავალი პრეზიდენტი და ისინი, ორი გორელი, თანაც ერთი სპორტსმენი, თუმც საკმაოდ წარმატებული, აბა, რა შენი საქმეა კრიჭაში ჩადგომა?  
- შენ არ გესმის, რას გეუბნები? ოქრუა შეიღეს დაარტყეს მაგისმა მოსწავლეებმა, თანაც მთელი გორის დასახლება, ჩვენ კი არჩევნები გვაქვს მოსაგები, ქართლელებს ნაცემები არ ევასებათ, მებრძოლი ხალხია. ირაკლიმ, მეც ბოლომდე დავდგებით, ჰოდა, სამართლებრივად გახეხავენ ციხეს, იქ ჩამოაყალიბოს მერე კრივის კლუბი! რას გადააკიდე, გამაგებინე, ვეზოტიკა და-გაკლდა ცხორებაში? – არ ცხრებოდა მიშა.  
- მიშ, ჩემი ხათრით, – დავადაბლე ხმა და ყველაზე მტკიუნეულზე მივაწექი, – ხომ იცი, ამ ეროვნულ უმცირესობებს მაინც დამაინც გულზე არ ეხატები, გიორგის კი მოსწავლეები, ძირითადად, ოსები ჰყავს, და საერთოდ, მთელი ქართული შეგრეული ქართულ-ოსური ოჯახებია, რაში დაწყობს

დაპირისპირება? – დუმილი ყურმილის მერე მხარეს თანხმობის ნიშანი იყო. დამიჯერა.  
- კარგი, მოიყვანე, ოღონდ ამის მერე თუ კიდევ რამე მოხდა, იცოდე, შენ აგებ პასუხს და არ მანტერესებს ჩვენი მეგობრობა, – ტონი საკმაოდ მკაცრი, თუმც საგრძობლად მორბილებული იყო.  
მე და გიორგი სამინისტროდან ფეხით საკრებულოში გადავედით.  
- გიორგი, ყველაფერზე დავთანხმე, თუ თავისუფლება გინდა შენთვის და შენი სიმამრისათვის, – ვარიგებდი მე. გიორგი მორჩილად თავდადებით მიმდევდა.  
მიშას მდივანმა ცაცამ უკვე იცოდა, რომ უნდა მივსულიყავით.  
- ლალი, სულ 10 წუთი დაელოდე „გრაციიდან“ ბიფშტექსი დაავიანეს და უდროს სადილი გამოუვიდა. ხომ იცი, რამდენს მუშაობს და, რომ არ იკებოს, მოკვდეს, – ქოთქოთებდა ცაცა.  
უდროს ტრამპეზი დასრულდა. მე და გიორგიმ საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტის ზღურბლი გადავედით.  
- რა იყო, ბიჭო, ძალა გერჩის? – ჰკითხა მიშამ, მაგრამ ტონი საკმაოდ რბილი და კეთილგანწყობილი ჰქონდა.  
- რა ვიცი, რა...  
- მოკლედ, ჩამოვართვათ ერთმანეთს ხელი. აგურ, ლალი თავდებდა დაგვიდგება და არანაირი ხელის შეშლა, ეს უკვე გადაწყვეტილია, ირაკლიმ მილიონები დახარჯა, არჩევნები უნდა მოიგოს! თუ არა და, მერე შენ თავს დააბრალე და ლალიც ვეღარ გიშველის! – ეს უკვე შეპარული მიუქარა იყო.  
გიორგიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.  
- ლალი, შენ დარჩი, – მომესმა კართან მისულს.  
- იმედია, კმაყოფილი ხარ? – მკითხა მიშამ.  
- კი, მაგრამ, მეონი, ჯობს ვარიანში წამოხვიდეთ შენ, ვანო და ირაკლი. რინგზე ხელი ჩამოვართვათ ერთმანეთს და ჩათვალე, რომ ინციდენტი ამოწურულია, თანაც შენი უპირატესობით, თანაც ვისთან? მსოფლიო ჩემპიონთან, და ჰაიდა, ქართლელების გულის დასაპყრობად, ოუ არე ტჰე ბესტ! – ვუთხარი მე და თან ველოდებოდი ცუ-ნამის, წარდგანსა და ქარიშხალს ერთდროულად.  
- რატომაც არა? ესე იგი, ხვალ, გამოენიას ვარიანში გავდივართ მე, ვანო მერაბიშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი, გიორგი ბარამიძე და იცოდე, არანაირი „შანელის“ კოსტიუმი. ეს სოფელია, სოფელი! – მიშა სააკაშვილის უცდარო, პიარისათვის ასე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების ერთ წამში მიღება მე პირადად ყოველთვის

სასამოვნოდ მანცვიფრებდა“.  
სხვადასხვა ინტერნეტ საიტებზე არაერთი ვიდეომასალა გავრცელებული, სადაც მიხეილ სააკაშვილი ქერთიან ქალბატონებთან არასამუშაო ვითარებაში (კლუბებსა და რესტორნებში) ერთობა.  
პრეზიდენტის კარზე გასული ექვსი წლის განმავლობაში სუსტი სქესის წარმომადგენელთა მონაწილეობით არერთი სკანდალი მშხდარა, მათი უმრავლესობა გახმაურებულია. გაგლოვება, მოროშინას და უკრაინელი ლამაზმანების გარდა პრეზიდენტის კარზე კიდევ ერთი ლამაზმანი „მასხურებდა“ გიგი უგულავას აშუამინდელი მეუღლე, თბილისის პირველი ლედი – ლელა კილაძე.  
კილაძე წლების განმავლობაში ითვლებოდა ადმინისტრაციის უფროსის მრჩეველად და კულტურულ დონისიძიებათა უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად, მას შესაბამისად „ბინაც“ (სამონო-ოფისი) პრეზიდენტის რეზიდენციაში ჰქონდა, თუმცა, ყველას გასაკვირად კილაძის ვითომდა მუშაობის ოთხი წლის თავზე უკრაინისტიებს გამოვიცხადეს, რომ ქალბატონ ლელას თურმე არანაირი სტატუსი არ ჰქონია. პრეზიდენტს განსაკუთრებით უცხოელ უკრაინელებთან (მდევრობითი სქესის) ურთიერთობა მოსწონს. სხვადასხვა წამყვანი მედიასაშუალებების წარმომადგენლებს პრეზიდენტი უპატვიცემულად არ უშვებს და ქვეყნისა და მისი რეზიდენციის ღირსშესანიშნობებს ათვალეურებინებს. მექალთანე პრეზიდენტს სახელი უცხოეთშიც ცნობილია, ამიტომ უკრაინისტიები მასთან ხანგრძლივი, თუნდაც სამუშაო ურთიერთობისგან თავს იკავებენ.  
იყო შემთხვევა, როდესაც მიხეილ სააკაშვილის რეპუტაციას საგარეო ურთიერთობებში საფრთხე დამუქრა. პრესაში დაიწერა მისი არაკორექტული მოქცევის თაობაზე აზერბაიჯანის პრეზიდენტის მეუღლის – მჰკრიბან ალიევას მიმართ.  
მიხეილ სააკაშვილთან ახლაც ბევრი ქალბატონი მუშაობს, ზოგი სტატუსით და ზოგიც უსტატუსოდ, თუმცა როგორ დასრულდება მათი მოღვაწეობა პრეზიდენტის კარზე, უცნობია. ასევე უცნობია გარდაისახებიან თუ არა კარის ქალები კარვის ქალებად, როდესაც საზოგადოებისგან, რომელსაც მოთმინების ფილა დღითიდრე ევსება, სააკაშვილის რეჟიმს ინტენსიური და დინამიური დაცვა დასჭირდება, კარვის ქალები ხომ გაცილებით მძიმე ხვედრია, ვიდრე პრესსპიკერისა თუ სხვა ხელოვნური სტატუსით საჯარო განცხადებების გაკეთება და რეზიდენციაში ნებოვრობა.  
შორენა გოგოლაძე



სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო

მენაჯერი

თარგანი როლანდ ჯალალნიასი



იაგოდამ შექმნა "გულაგის" იმპერია, 1950-1936 წლებში ჩაატარა მთელი "ზინბური სამუშაო" და შეამზადა ნიადაგი რეპრესიებისათვის.

შემდეგ იგი საქმეს მოაშორეს, რათა "შინსახკომის შავნელი საქმეები" მიექსპლანდირებინა, მის ადგილზე კი ექვოვი დანიშნეს, რომელიც ასევე წინასწარ იყო განწირული.

ექვოვი მოამზადა და ჩაატარა "დიდი ტერორი" და დახვრიტა ან ციხეებში ჩაყარა სტალინისათვის არასასურველი პირები

როცა ეს ყველაფერი დამთავრდა, "ჯალაო" ექვოვი დახვრიტეს და მის ადგილზე მოიყვანეს "ჯალაო" ბერია.

ამ უკანასკნელ დასკვნასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ - სტალინი ალბათ ვერ წარმოიდგენდა, რომ მისი თანამემამულეები ხელისუფლების სათავეებთან მიუშვებდნენ გორბაჩოვებს, ელცინებს, იაკოვლევეებს და სხვებს, ხოლო მასმედია ხელში ჩაუვარდებოდათ ვოლკოგონოვებსა და რაძინსკებს, რომლებიც პირზე ქაფმორეული ავინებენ სტალინს და ლაფს ასხავენ მის სახელს. სტალინს არასოდეს არაფერი მიუჩქამალავს - არ სჭირდებოდა! მაღალ ეშვლონებში გატარებული რეპრესიები იმავე წამს სხებოდა ცნობილი არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის.

რაც შეეხება სქემის მესამე პუნქტს, ჩვენ უკვე კარგად ვიცით, რომ "დაბალი ეშვლონები" რეპრესიებში დიდი როლი ითამაშა არა ექვოვი, არამედ ხრუშჩოვი და ეიჰკე.

ახლა, რაც შეეხება ყბადაღებული "გულაგის" თემა. ამ ისტორიაში ფიგურირებს ერთი გვარი - იაკობ დავითის ძე რაპოპორტი. იგი 1898 წელს დაიბადა რიგაში, მოსამსახურის ოჯახში, სწავლობდა დერპტის უნივერსიტეტში. 1917 წლის იანვარში გახდა რსდმპ (ბ) წევრი. ეს ის დრო იყო, როცა ბოლშევიკების პარტიაში მხოლოდ იდეური მოსახრებებით შედიოდნენ. 1919 წლის აგვისტოდან არის ვორონეჟის ჩკ-ს გამომძიებელი, შემდეგ - განყოფილების უფროსი, ბოლოს კი თავმჯდომარის მოადგილე. 1922 წელს იყო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ჩიჩერინის მდივანი, მსახურობდა მთალარი პოლიტსამმართველოს ეკონომიკურ სამმართველოში, 1932 წელს კი გახდა გულაგის უფროსის მოადგილე და მას შემდეგ ერთადერთ საქმეს სკეუბდა: აშენებდა "ბელმორკანალს", რიბინსკის და უგლინის პიდროელსადგურებს... ომის დროს მეთაურობდა გამანდმეველთა არმიას.

ჩვენ საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ რაპოპორტს კიდევ შევხვდებით, როცა საბჭოთა კავშირში ატომურ ენერჯისთან დაკავშირებულ პრობლემებს შევხვებით, იმიტომ, რომ ორმოცდაათიან წლებში იგი სსრკ შსს-ში მუშაობდა. იგი თადარიგში 1953 წლის 6 ივნისს გაუშვეს, გარდაიცვალა 1962 წელს და დაკრძალულია ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.

მან ყველაფერი იცოდა გულაგის თაობაზე. მაგრამ იგი არავის შეუვიწროვებია. იგი უნარიანი ორგანიზატორი იყო და კარგად ერკვეოდა ტექნიკურ საკითხებში. "პოლიტიკაში" ცხვირს არ ჰყოფდა და ხელუხლებელი დარჩა, იმიტომ, რომ მუდამ საკუთარ ადგილზე იმყოფებოდა.

ასევე ორგანიზებში მუშაობდა იაგოდას, ექვოვის და ბერიას დროს გულაგის დიდი მცოდნე ფრენკელი, რომელიც 1947 წელს გავიდა თადარიგში და 78 წლის ასაკში გარდაიცვალა 1960 წელს.

რაპოპორტი და ფრენკელი მუშაობდნენ, მათი ბევრი თანამშრომელი კი პოლიტიკურ ინტრიგებს აჟყვნენ, რაც სიცოცხლის ფასად დაუჯდათ კიდევ. მაშინ არავის არავისათვის ბრალი არ მი-

უყენებია - საბოტაჟისა და დივერსიის კონკრეტული მხილებებიც თავსაყრელად იყო.

ოციანი წლების დასასრულს, როგორც კი დაიწყო სოციალისტური რეკონსტრუქცია, მაშინვე გააქტიურდა კონტრ-რევოლუციაც. ამიტომ, იაგოდასაგან პროვოკატორსა და ფალსიფიკატორს მხოლოდ ბოროტი ჭოროკანები ქმნიან.

შეთქმულებას კი იგი ამზადებდა. და ეს აღიარა კიდევ სასამართლოზე. მაგრამ შიონაჟის ბრალდება უარყო: "მე რომ ჯაშუში ყოფილიყავი, ათობით ქვეყანა თავის სადაზვერვო ქსელს დახურავდა".

თანაც, თავიდან იაგოდა სამსახურის საქმისათვის მოხსნეს და მის შეთქმულებაში მონაწილეობაზე ეჭვი გვიან მიიტანეს. ყველაფერ ამასზე პასუხი გაცემულია "სტალინისა და კავანოვიჩის მიმღწერაში"...

1936 წლის 25 სექტემბერს სტალინმა და უდანიოვმა სოჭიდან შეფროგრამა გაუგზავნეს მოლოტოვსა და კავანოვიჩს:

"უპირველესად საჭიროა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად ექვოვის დანიშვნა. იაგოდამ აშკარად ვერ გაართვა თავი ტროცკიზმისთვის ბლოკთან ბრძოლას. (დღეს ამაზე ყველა დიად საუბრობს). ექვოვის მოადგილედ უნდა დაინიშნოს აგრანოვი.

მეორე, სასწრაფოდ მოხსენით კავშირგაბმულობის სახალხო კომისრის თანამდებობიდან რიკოვი და მის ნაცვლად დანიშნეთ იაგოდა.

სტალინი, უდანიოვი". იმავე საღამოს სტალინმა ბარათი გაუგზავნა იაგოდას:

"ამს. იაგობას. კავშირგაბმულობა სერიოზული საქმეა და იგი თავდაცვითი დანიშნულებისაა. მე ვიმედოვნებ, რომ ამ დარგს თქვენ ფეხზე დააყენებთ. გთხოვთ დაეთანხმეთ ამ შემოთავაზებას.

სტალინი". ამ წერილებით ყველაფერია ნათქვამი. ამიტომ, იმის მტკიცება, რომ იაგოდა დიდი ტერორის დაწყების წინ "მოსიროლეს", სისულელეა და სხვა არაფერი.

იაგოდა იმიტომ მოაშორეს შინსახკომს, რომ იქ მან თავი ვერ გაართვა საქმეს.

ეს წერილები საქმიანია და იგი არ არის გათვლილი მასზე. მასში ყველაფერია ნათქვამი. ამიტომ ვერ უძღვებს კრიტიკას აზრი იმის თაობაზე, რომ იაგოდას მოშორებით და ექვოვის დანიშვნით მომზადდა ნიადაგი დიდი ტერორისათვის. იაგოდა დააპატიმრეს 1937 წლის 28 მარტს, მაშინ, როცა განწდა ეჭვი მისი შეთქმულებაში მონაწილეობის თაობაზე. 27 აპრილს კი დააპატიმრეს პეტერსონიც და ექვოვი "აიწყვიტა"...

1936 წელს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად ექვოვის დანიშვნა კარგი საქმე გახლდათ. იგი ხომ მართლაც უნარიანი მუშაკი იყო. შინსახკომად მისი დანიშვნისას კომისარიატში შექმნილ მდგომარეობაზე მიანიშნებს კავანოვიჩის წერილი სტალინისადმი, რომელიც 1936 წლის 12 ოქტომბრითაა დათარიღებული:

"...5) ექვოვის საქმეები კარგად მიდის, მაგრამ მოკიდა ხელი კონტრრევოლუციონერებთან ბრძოლის საქმეს, დაკითხვები მიჰყავს ჭკვიანურად, პოლიტიკური ეთიკის დაცვით. მაგრამ, როგორც ჩანს, სამინისტროს აპარატი მის მიმართ არაღიარებულად. დღის ხმები, რომ გენერალურ კომისრად მაინც იაგოდა დარჩება და რომ ექვოვს ამ წოდებას არ მისცემენ. (ექვოვი ეს წოდება 1937 წლის 27 იანვარს მიიღო). ამიტომაც აუცილებელი წოდების მინიჭების საკითხის დაყენება."

შემდეგ კავანოვიჩი ამბობდა: "ძირითადად ვცდილობთ ნაკლოვანებების გამოსწორებას თქვენი მი-

თითების შესაბამისად. გვიხარია, რომ თავს კარგად გრძნობთ. ყოველგვარ სიკეთეს გისურვებთ.

თქვენი ლ. კავანოვიჩი..."

არც ეს სიტყვები იწერებოდა პუბლიკისა და მომავალი ისტორიკოსებისათვის. ესაა საქმიანი მიწერ-მოწერა, სადაც ჩანს, რომ სტალინისა და მისი გარემოცვისათვის მამოძრავებელი ძალა იყო საქმე და არა ინტრიგები. და ის, რომ შემდეგში რეპრესია ექვოვსაც შეეხო, ისტორიკოსთა მიერ ფასდებოდა ფორმულით: "მაგრამ უნდა გააკეთა თავისი საქმე, მაგრი უნდა წავიდეს...", და არა მისი პირადი თვისებებით.

ცნობილი ავიაკონსტრუქტორი ალექსანდრე იაკოვლევი იხსენებდა სტალინთან შეხვედრას, სადაც ბელადმა თქვა: "ექვოვი არამზადა! კარგი კაცი იყო, მაგრამ ერთიანად გაიხრწნა... ურეკავ სახკომში, გასაუხრებენ, რომ იგი ცეკაშია, ურეკავ ცეკაში, იქ კი გასაუხრებენ, რომ სამსახურშია. სახლში უგზავნი ხალხს და ირკვევა, რომ უგონოდ გალემილი აგლია ლოგინზე. მრავალი უდანაშაულო დაღუპა. სწორედ ამისთვის დახვრიტეთ..."

დაპატიმრებისას ექვოვი უკვე ქვრივი იყო. ცოლმა, რომელიც ექვოვს შეყვარდა, თავი მოიკლა.

მაგრამ ექვოვი მაინც არ იყო სატანაზე სულმიყიდული და ნაცრისფერი ბიუროკრატი. აი, რას ამბობდა იგი სახალხო კომისარიატის ახალგაზრდა მუშაკებთან შეხვედრაზე 1937 წლის 11 მარტს:

"სახლი კონსტრუქცია მრავალ სახლეს შემოგვთავაზებს. ამიტომ, ჩვენ კარგად უნდა შევისწავლოთ ჩვენი კანონები და მაშინ სრულიად აღარ ვიქნებით დამოკიდებული პროკურატურაზე. ჩვენი ძირითადი წინააღმდეგობა პროკურატურასთან ხომ განპირობებულია ჩვენს მიერ კანონების არცოდნით?"

და, კიდევ მისი ერთი შენიშვნა:

"ორი ჩეკისტი ამხანაგი ერთმანეთს ხედება და მონადირული მონდომებით შეგვიბიან ერთმანეთს საკუთარი საქმეების თაობაზე. სწორედ ამიტომ, მე საეინკოვის დაპატიმრების 15-მდე ვერსია მაქვს მოსმენილი..."

კითხვულ ამას და ფიქრობ, რომ სწორედ ამ მონადირული მონდომების შედეგია სხვადასხვა ვერსიები ბერიას მუსავატისტურ დაზვერვაში მუშაობის თაობაზე.

უდავოა, რომ აქ 15-ზე მეტი ვერსია არსებობს!

ექვოვის შს სახალხო კომისრად მუშაობისას დაიწყო პროცესი, რომლის აუცილებლობა დიდი ხნის წინათ იყო მომწიფებული.

1934 წელს, როცა შინსახკომს იაგოდა ხელმძღვანელობდა, მის ხელმძღვანელობაში მყოფი 96 დაამიანიდან იყო 30 რუსი, 37 ებრაელი, 7 ლატვიელი, 2 გერმანელი... როგორც ხედავთ, შინსახკომი (და არა მხოლოდ ეს უწყება) წარმოადგენდა ებრაელთა სახანეს.

აი, რას სწერდა აკადემიკოსი ვერნადსკი 1928 წლის 10 აგვისტოს:

"ყველაზე თვალში საცემი და გამაღიზიანებელია გამარჯვებულ ებრაელთა გაბრწყინებული სახეების ხილვა. მატრიცები უსაშველოდ დიდი ყველაგან. იშვიათად შეხვდებით გამხდარ, დაფიქრებულ სახეებს. ისინი ძალაუფლებით ტკბებიან, განსაკუთრებით ებრაელები..."

მათ განსაკუთრებული ლტოლვა ჰქონდათ ძალაუფლებისაკენ და ჰყავდათ ისეთი ლიდერები, როგორებიც იყვნენ ოსეი-პერშ არონის ძე ზინოვიევი-რადომისლსკი, ლევ ბორისის ძე კამენევ-როზენფელდი და ლევ დავითის ძე ტროცკი-ბრონშტეინი, რომლებიც იაგოდას დროს დაისაჯნენ კონკრეტული დანაშაულისათვის.



მებრული პოეზიის რაფსოდია

გაზეთი "ილორი" იწყებს ლექსების ციკლის ბეჭდვას ცნობილი ქართველი პოეტის ლაშა გახარიას წიგნიდან "ირიათონი" (ბექელია-ნაბორდია).

ლაშა გახარია ქართული ლექსების თარგმნა შეუძლებელია, მეგრული ლექსებისა - საერთოდ შეუძლებელია. რაგინდ დიდი პოეტიც არ უნდა იყოს და რაგინდ კარგად არ უნდა ფლობდეს იმ ენას, რომელზეც თარგმნის, მაინც ვერ შესძლებს. მეგრული ენა ისეთი ფენომენია. იმდენად მდიდარი და ამოუწურავია მისი ლექსიკური საღარო, იმდენად ტყვადი და მოქნილია სიტყვები, განსაკუთრებით ზმნები, რომ სხვა ენაზე მათი გადატანა - თარგმნა, შეუძლებელი ხდება. ამას ემატება ისიც "და ალბათ ეს არის უმთავრესი", რომ შენაწინააღმდეგე პოეტმა ლაშა გახარიამ მეგრული ენის ეს საოცარი შესაძლებლობანი ისე საოცრად გამოიყენა და ისეთი მაღალმხატვრული, დრამად ფილოსოფიური პოეტური ნაწარმოებები შექმნა, მართლაც, ჯადოქარი უნდა იყო, რომ შესაბამის სიმადლეზე თარგმნო.

სწორედ ამიტომ, ჩვენც ვერ გადავწყვიტოვით, ვერ გვებრუნებოდა, გაგვეკეთებინა ლაშა გახარიას წინამდებარე ლექსების "რომელსაც შეიძლება ლირიკული პოემაც დავუტყვას" თუნდაც ბჭკარებული თარგმანი, თანაც წიგნი პოეტის გარდაცვალების ერთ წლისთავზე უნდა გამოსულიყო და დრო ძალიან ცოტა გვრჩებოდა.

მაინც ვაგებდეთ და გადავწყვიტეთ. წინასწარ შევნიშნავ: მკითხველს, რომელმაც იცის მეგრული, არ დასჭირდება არც ვურჩევთ თარგმანის წაკითხვას. თარგმანი გაკეთდა, უპირველეს ყოვლისა, მათთვის, ვინც არ იცის მეგრული და თუ ამ ბჭკარებული თარგმანის წაკითხვისას, ისინი მათთვის მაინც იგრძნობენ და დაინახავენ, რასაც გრძობდა და ხედავდა ლაშა გახარია და რაც ასე შთაბეჭდილად გადმოგვცა თავის ლექსებში, მაშინ ჩავთვლით, რომ ჩვენი ცდა განართლებული იქნება, და ლაშა გახარიას ნათელი სულიც გვაბატებს იმ ლაფსუსებსა და შეცდომებს, რაც დავეუშით თარგმანისას.

ახლო მომავალში ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს ლაშა გახარიას მეგრული პოეზიის უფრო სრულყოფილი კრებულის გამოცემა, ამიტომ ყველა შენიშვნასა და წინადადებას დიდი მადლიერებით მივიღებთ და გავითვალისწინებთ.

ლია ნაროუშვილი

ლაშა გახარია - მეგრული პოეტური რაფსოდია


ლაშა გახარიას აღმოჩენა სულ ახლა-

ხან მოხდა მისი პირველი, მეორე და მესამე კრებულის გამოცემით 2003-2004 წელს. ვინაც უნივერსიტეტში არ ახსოვდა ის და არც ის ვპოეტები იცოდა, რომლითაც სტუდენტი ლაშა გახარია შეამკეს თანაკურსელებმა და ორიოდე წუთმა მკითხველმა ("ნადი პოეტი", "გრანდის პლანეტელი", "ლადოს მემკვიდრე", "ასლის მხრეკელი", "ორიგინალურობა", "ქართული ლექსის ტრადიციისადმი უღალატობა", "სოციალურ-პოეტური უღალატობა", "ვერსიფიკაციული მიეზანი", "დიდებული ძნელმისაწვდომი უბრალოება") მისთვის ლაშა გახარია, ამ ორმოცდაათ წელს მიღწეული და გადაბიჯებული კი, პოეტის გამოჩენა, მართლაც აღმოჩენა იყო.

ხშირად გაიგონებდი: "დიდი მთიების" შემდეგ საქართველოში პოეტი აღარ არისო (ეს "დიდი მთიები" ჯერ გალაქტონსა და ცისფერყანწველებს მოიცავდა, შემდეგ გალაქტონსა და გოგლას, სვიმონს, ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეებს და მიყოლებით მწერალთა კავშირის მდივნებსა და წარჩინებულ წევრებს... არასოდეს გამიგონია, რომ რომელიმე მათგანს ლაშა გახარიასკენ გაეხედოს და ეთქვას "მივიწმინდეთ - პოეტი მოდისო"... (ამ "ცოცხლადდავრეულს" ბელს იზიარებდა შოთა ჩანტლაძეც და რამდენიმე სხვა პოეტიც). ჩვენს დროში ამგვარი (ილიასებური) შეფასება და გადაფასება უჩვეულო რამ იქნებოდა, რადგან პოეტურ სამყაროში დაფუძნება მხოლოდ მწერალთა კავშირის აუღებელი პარტიული ბასტიონის საჩქირებელი საშეი თუ შესაძლებელი. ვისაც ეს საში არ ეძლეოდა - ის არც პოეტი იყო და, თუ გავითვალისწინებთ იმავე მწერალთა კავშირის მიერ ტიცინ ტაბიძის უახლოესი მეგობრის და სესანიშნავი რუსი პოეტის ბორის პასტერნაკის დაგმობას (რამაც გალაქტონის ტრავიკული ნახტომი გამოიწვია!) - არც მწერალი და არც მოქალაქე. მნიშვნელოვანია ის, რომ ლაშა გახარია ამას არასოდეს შეუწყუხებია. იგი თავისი გზით მიდიოდა და ქმნიდა იმას, რისი გამოსხნის შესაძლებლობას მას ქართული ენის პოეტური ენერჯია აძლევდა - ქმნიდა განუმეორებელ პოეტურ სამყაროს. პოეტური სიტყვა არასოდეს არ არის მზახილი მოცემულ ენაში, იგი ქმნალობაშია. მაგრამ ენა შესაძლებელს ხდის პოეტისას. ლაშა გახარია ამ ენობრივ შესაძლებლობაში არის დავანებული, ის აქ ხედავს იმ სიღრმეს, რომელიც სიტყვას არა მხოლოდ ნიშნის, ან, გუნებავთ, აზრობრივი ხატის სახეს აძლევს, არამედ ყოფიერების შემქმნელ ენერჯიას. კითხულობ და ხედავ! ნაქმნის დახვეწილობა მხედველის სულიერ

ჩამოქნილობას ეფარდება და ვიბრირებს ისეთი ძალით, რომ მკითხველსაც უხსნის მზერას და მხედავად აქცევს. სულის ამ თანახედაში და თანახედაში იქმნება ის, რასაც ყოფიერების პოეტური მეტაფორა ეწოდება და რაც ყოველი ენის შემოქმედებით ენერჯიას სრულიად განსაკუთრებული სამყაროს შექმნის შესაძლებლობას აძლევს. პოეტური ენის უთარგმნელობის საიდუმლო, ვფიქრობ, ამ მეტაფორათა განსაკუთრებულობაში მდგომარეობს.

დიდი ხნის განმავლობაში სრულიად უაზრო ეთნოცენტრისტული კონცეფციის საფუძველზე განვითარებული ფსევდონაციონალური იდეოლოგია და განწყობა აიძულებდა "ქართველებს" უგულვებელყოფოთ მეგრული და სვანური ენები და ეჭმქვეშ დაეყენებინათ მათი სრულყოფილება და ის შესაძლებლობები, რომელიც ამ ორ ძირეულ ქართველურ ენას ჰქონდა. ერთი მიზეზი ამგვარი ვითარებისა ის იყო, რომ სვანურიცა და მეგრულიც ცოცხალი და დაუკნობელი ენები იყვნენ. "სამი ქართველური ეთნოსისა" და შესაბამისი ენის ეს აბსურდული კონცეფცია თავისი პოლიტიკური მახვილით უბრუნდებოდა საქართველოს იმათი მეოხებით, ვინც "ქართებს", "მეგრებსა" და "სვანებს" ურთიერთს იბორისპირებდა. ეს ეხება ყველას, როგორც შინაურებს, აგრეთვე გარეულებსაც - იმ იმპერიულ ძალებს, რომელნიც საქართველოს თავს ახვედნენ იმ სამეთნოსოვან იდეოლოგიას. დღეს უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ ქართველური ჯგუფი შინაგანი განვითარებით აღწევს ლიტერატურულ ენაშიც, რომელსაც "ქართული" ეწოდება და რომელიც ვითარდება სვანურიდან - მეგრულიდან და დი-ტერატურული ქართულისაკენ უწყვეტად და იმ ტოპოლოგიურ ენობრივ მეზობლობასა და მხებობაში, რომელიც მოიცავს მთელ წინა აზიას ირანიდან ვიდრე საბერძნეთამდე. ასე რომ, "ეთნიკურად" სახეზე მხოლოდ ერთი ეთნოსი გვაქვს "ქართველური", რომელიც სხვადასხვა ტომებისაგან შედგებოდა და თანდათან ვითარდებოდა ჯერ სვანურენოვან, შემდგომ მეგრულენოვან და ბოლოს ქართულენოვან სახელმწიფოდ. მე არ ვაპირებ ლაშა გახარიას ამ პოეტური სამყაროს დამიმუშავებლად კონცეპტუალური მავთულხლართებით და ამიტომ განვმარტავ რომ ის პოემა, რომელსაც დღეს იხილავს მკითხველი, ნათელი დადასტურებაა მეგრული ენის იმავე პოეტური ენერჯიისა, რომელიც ახასიათებს მაღალ ლიტერატურულ ქართულს. არავითარი განსხვავება არ არის პოეტურ სამყაროთა შორის, იმ ენერჯიასა და დახვეწილობას შორის, რომელიც



ქმნის ნაყოფიერების ქართულ სურათს და თავად ქართულ ყოფიერებას მია მეგრულ მეტაფორაში. ამ თვალსაზრისით ჩვენ ვიმყოფებით იმავე ქართულ ენობრივ სტიქიონში, იმავე ენერჯიაში, რომელიც ქმნის შუშანიკის წამებას, ამირანდარეჯანისა, ჩახრუხაულს, ვეფხისტყაოსანს, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაქტონს, ცისფერყანწველებს... მეგრულს ეს პოეტური სტიქიონი დაგვანახებს სწორედ იმას, თუ რაოდენ დრმა ფენები ახლავს ქართულ სიტყვას, რომლის გული მეგრულად სცემს, ხოლო გულისგული კი სვანურად.

ზემოთ ნათქვამი არ არის მეტაფორა. ეს არის სინამდვილე, რომელიც ლაშა გახარიას მეგრულ პოეზიას თავის კუთვნილად გიღვს ანიჭებს ქართულ პოეტურ სამყაროში. ვისაც პოეტური ყური და თვალი არა აქვს, მათთვის ქართული პოეტური სამყარო არ არის ერთიანი და სიღრმისეული. ისინი ვერ ხედავენ იმ ეტიმოლოგიურ სიღრმეებს, რომელიც ქართველურ ენათა ერთობლიობას ახასიათებს, იმ ენერჯიას, რომელიც ჩაგვახედებს დროთა სიღრმეში და დაგვანახებს იმ უმდიდრეს ყოფიერებას, იმ შემოქმედ ნათელს, რომელიც ქართული ყოფიერების პირამიდას წარმოვიდგინებს.

ლაშა გახარიას ეს პოემა მხოლოდ სარკმლის შეღებვაა ამ შესანიშნავი "მთლიანი ქართველი" პოეტის სამყაროში. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მალე შევძლებთ ქართველ მკითხველს წარვუდგინოთ ლაშა გახარიას მთელი შემოქმედება, რათა კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ რომ არ მოდუნებულია ქართული პოეტური ჩანგის სიმები, არ დაშრეტილა ქართული პოეტური ენერჯია, არ დაუკარგავს სინატიფი და სიღრმე ქართულ სიტყვას.

ჯანრი კაშია

ოღაბაღე  
ვა ოჭმარეს ზესქე გიღარხე,  
ვა ონჯუას - მაღალური...  
სქან ოსქეებურქ ვამათქუნი,  
კონქ თაშ მუჭო ალაბღური?!  
  
ვართ მასქერო ეშმოდ შურქუ,-  
ქიგნიორქიე თუმასგნი:  
სქან უჯგუშო მის უნქ, ცაშა  
მუ მეუღუ კუმასგნი...  
  
ნარდისშ ყასგ გიღაყონგქ  
პირსელიში მუშუღჯგუა,  
გინაყია სამარგალოს -  
ჯგვრობუას უკუნხუა.  
  
ირკონიში მენხელი რქ,  
გონჯღორუ სუმარუა;  
ჭყლირ გურიშ ლეცერი რქ,  
ღურუს ცურუს უგარუა.  
  
სქან წყურგიღუვ ვამკოროცხგ,  
ჩხორო რე, ვარ - ვითონხორო,  
გურშე წმუთი მორფუნცუნი,  
თის მეუხექ ქვითორ ჩხომო.  
  
ანწ ვარენო ქომკინთხენქ და,  
ქიგლულ, ქიგლელანთირუქ...  
ოშ ქიანა მიბლი, მარა  
ნამთინიშა ვამთირუქგ...

სამშობლო  
დილის ტოტზე შაშვი გალობს,  
ბინდის ტოტზე მოლაღური...  
ვერ ვთქვი შენი საქებარი,  
ღამის ისე მოგვედ კაცი...  
  
არც ამომხდა სული ისე -  
მასქურვითი (ნელი ქარი, სიო) გეამბოროს,  
ან ვინ უწყის შენზე უკეთ -  
კვამლს რა მიაქვს მაღლა ცისკენ.  
  
ღარდის ტოტზე შემომჯდარხარ  
საპირსელო (სანათლიდელი) მამალივით -  
გადასძახი სამეგრელოს  
და სიკეთის შენ ხარ მეველე.  
  
ხარ გულუხვი მასპინძელი.  
თუმც გავრბი სტუმრად ყოფნას,  
დაჭრილ გულის მაღამო ხარ,  
დაგაქვს სუროს ნედლი ტოტი.  
  
შენს წყაროებს მე ვერ დავთვლი -  
ცხრა იქნება, თუ ცხრამეტი.  
გულის სითბოს აფრქვევ ირგვლივ  
როგორც თევზი მოქვირით.  
  
ჩემს ამბავსაც თუ იკითხავ,  
დავალ დაგხეტ-დავბადალობ,  
სად არ ვიყავ, მაგრამ მაინც  
აღარ გამიცვლიხარ სხვაზე.

რუმე სერიშ ლანდღვერ თიღც  
თუთაქ სინთე ქალაჭკალღ;  
ქველუქვ ნირს გეგნირცხონესგ,  
მურიცხეფი იჭვარჭკალღ.  
  
ჭიღამ ნემიქ გამკოლღ დო  
ყურუმგ ქუას გიკაჭალღ,  
აურე ხობწყარ მოშინთანცგ,  
ეურე მაფერ მიკვაჭალღ;  
  
სოფელც კამაცალო ლურცგ,  
ელვოჯინექ აკან ცახგ,  
წიწინაფიღ ჩაფლა ლუღის  
ბერწულ ათაკარკაცანსგ.  
  
თუთარჩელა მუნმოქუნცუ,  
თოღ მეთხოზ ნაკვაცახგ;  
ღია, მურე თე ბუნება -  
ირფელც მუჭო დაკვანწანსგ?!  
  
ღანჯეფი და თხომეფი  
ოჯალეშით გონაბადღ,  
მაღას მაჭარ ვობორღიშანც -  
ბრელ ბორულიშ მორაგადღ  
  
გედ შქერენი, თე ტაბაკი  
ჯგირ დო სქემით მორაბადღ;  
გაკოკურცხით ჯიმაღლეფი,  
დომხვამითი ოღაბადღ!

მრუმე ღამის მღვრიე თვალში  
მთვარემ შუქი ჩააწველა,  
ტყემ ნისლეტი ვადივარცხნა,  
აკიაფდნენ ვარსკვლავები.  
  
ჩამოვარდა კაკალი და  
ქვას დაეცა, დაიკორკლა,  
აქ მოშუის ხობისწყალი,  
იქ მაფერი (ნაკადული) მიკვაჭალობს.  
  
სოფელს ამო ძილით სძინავს  
და აფურებ ნათელ ზეცას,  
მწიფე ლეღვის ტოტს შესცინის  
მოტკარცაღე ბროწეული.  
  
საბნად მხურავს თუთარჩელა,  
თვალი მისდევს სხვივ-სხვიოსანს,  
ღია! რაა ეს ბუნება -  
აწესრიგებს ყოველივეს.  
  
კობიტები და თხმელები  
ოჯალეშით გაბადრულა,  
მაღე მაჭარს აადღლებს -  
გვათქმევინებს აბღაუბღას.  
  
მაშ შიმშილო! ეს ტაბაკი  
ხორც-ხორავით დაგვიტვირთე,  
გაიღვიძეთ ყველამ, ძმებო  
ღამილოცეთ ოღაბადღე!



# ბროსკის ბრიტანელი მემკვიდრეები ანუ როგორი იქნება მსოფლიო გლობალიზაციის შედეგად

## საით მიექანები უბედური საქართველოვ?

...ყოფილ მფლობელებს (ქმრებს) უნარჩუნდებით უფლება, ურიგოდ ისარგებლონ თავიანთი ცოლით. იმ შემთხვევაში, თუ ქმარი ამ დეკრეტის ცხოვრებაში მოქმედებას რაიმეხნად შეუშლის ხელს, ის დაკარგავს ამ სტატიაში მოცემულ უფლებას; მამაკაც მოქალაქეებს უფლება აქვთ, გამოიყენონ ქალი კვირასში არაუმეტეს ოთხჯერ და არა უმეტეს 3 საათისა...

გლობალიზაციის იდეოლოგიებმა უკვე არაერთხელ აღნიშნეს, რომ მომავლის „ბედნიერ“ მსოფლიოში უფესო, უერონო, ურელიგიო და უოჯახო ადამიანები იცხოვრებენ. დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში ოჯახი სულაც აღარაა ხელშეწყობილი და აუღლებელი ციხისმაგვრე – მშობლებს შეილება ახსურდეთ მიზეზების გამო ართმევენ და ყველაზე ხშირად ეს ბრიტანეთში ხდება. ეს ქვეყანა დაემსგავსა საცდელ პოლიგონს, სადაც ამ „აუღლებელი ციხისმაგვრის“ განადგურების მეთოდებს ამუშავებენ.

სულ ახლახან 24 წლის ბრიტანელ დედას საკუთარი შვილი იმის გამო წაართვეს, რომ დედა ავადმყოფი ბავშვის მოსაგვლელად „ბალიან სულელად“ ჩათვალეს. სამ თვეში სამი წლის გოგონას გააშვილებენ და დედას მისი ნახვის საშუალება აღარ ექნება.

ყველაფერი შარშან დაიწყო. გამოკვლევა აჩვენა, რომ 24 წლის რეიჩელის I 71 ქულას შეადგენდა (საშუალო მაჩვენებელი 90-109 ქულაა). ამიტომ, როგორც ქმედუნაროს, სასამართლოში მას სახელმწიფო ადვოკატი დაუნიშნეს. ადვოკატმა, ქალის სურვილის საწინააღმდეგოდ, უარი თქვა საქალაქო სასამართლოს დადგენილების განსაზღვრებაზე და ბავშვის გაშვილებას დაეთანხმა. საქმე ისაა, რომ რეიჩელის შვილს ნაადრევი მშობიარობის შედეგად ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და ექიმების მეთვალყურეობას საჭიროებს. ამიტომ, ნოტინგემის ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ დედა ვერ შეძლებს საკუთარ შვილზე ზრუნვას.

უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალისტების ერთი ნაწილი თვლის, რომ I -ს ტესტი სულაც არაა უნიკალური და უშეცდომო შემფასებელი; ფსიქიატრებმა კი დაასკვნეს, რომ რეიჩელი ნორმალური ადამიანია – მისი ინტელექტუალური განვითარება ნორმას შეესაბამება. ამ დასკვნიდან გამომდინარე სასამართლომ იძულების წესით აღიარა, რომ რეიჩელი ქმედუნარიანია და შეუძლია, თავად მიიღოს მონაწილეობა საკუთარი საქმის განხილვაში. გაშვილების პროცესის შენერებაზე სასამართლომ მაინც უარი თქვა.

ეს სულაც არაა ერთადერთი შემთხვევა. ბრიტანული სასამართლოს გადაწყვეტილებით მარკ და ნიკი ვებსტერებს ხელისუფლებამ შეცდომით წაართვა შვილები. მოსამართლე ახლაც არ აძლევს ოთხ ბავშვს მშობლების ნახვის უფლებას, შინ დაბრუნებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ვებსტერებს ბავშვები 2004 წელს წაართვეს, როდესაც ექიმებმა მათ ერთ-ერთ შვილს რამდენიმე მიკრომეტრიანი ალმოუნიცხე და დაასკვნეს, რომ ეს შეგნებულად მიყენებული ტრამპეტი იყო. შემდგომში ექიმებმა დასკვნა შეცვალეს, რომ ბავშვს ძვლებზე ბზარები ვიტამინების ნაკლებობის გამო გასწენია, მაგრამ ამ დროისათვის ვებსტერების ოთხივე შვილი უკვე გაშვილებული იყო და სასამართლომ მხოლოდ „ღრმა მწუხარებით თანაუგრძობდა“ გამწარებულ მშობლებს, რადგან გაშვილების შესახებ გადაწყვეტილება თურმე საბოლოო იყო და მისი შეცვლა აღარ შეიძლებოდა.

2005 წლის იანვრის შემდეგ ვებსტერებს საკუთარი შვილები აღარ უნახავთ.

არანაკლებ ამაზრუნეი ფაქტი მოხდა შოტლანდიაში, როდესაც სასამართლომ 46 წლის ბებია და 59 წლის პაპა ბავშვების აღსაზრდელად ძალიან დაბერებულად მიიჩნია და ორი ბავშვი პედერასტების ოჯახში გააშვილა. ევროპელთა ნაწილი ამ ასაკში პირველ შვილს აჩენს, ამ წყვილს კი ორწლიანი ბრძოლის შემდეგ შვილიშვილები მაინც წაართვეს და დაემუქრნენ კიდევ, თუ რაიმე უკმაყოფილებას გამოთქვამთ, ბავშვების ნახვის უფლებაც აღარ ექნებათ.

ამ ბავშვების შვილად აყვანა ნორმალურ წყვილებსაც სურდათ, სოციალური მუშაკები გაფრთხილებულნი იყვნენ, რომ უმცროსი ბავშვი, გოგონა, მამაკაცებისადმი შიშს განიცდიდა, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ორი მამაკაცისაგან შემდგარ „ოჯახს“ მიაშვილეს. პედერასტებისა და ლესბოსელების მიერ ბავშვების შეილაღ აყვანა შოტლანდიაში 2006 წლიდანაა დაკანონებული. ამ დროიდანვე ხელი-სუფლება აქტიურად უჭერს მხარს ამ იდეას და ყველა უპირატესობა გარყვნილებს ენიჭებათ. უნდა აღი-

ნიშნოს ისიც, რომ ერთსქესიანი ოჯახებისათვის ბავშვის შეილაღ აყვანის კანონის წინააღმდეგ ქვეყნის მოსახლეობის 90% გამოდიოდა. მაშ, ვიდას ინტერესებს იცავს ნაქებ-ნადიდები ბრიტანული დემოკრატია?

ოჯახთან მებრძოლ ბრიტანელებს მრავალი წინაშობიერი პეკავთ შუასაუკუნოვანი კატარებითა და ანაბატისტებით დაწყებული შედარებით ახლო წარსულის ბოლშევიკტროცკისტებით დამთავრებული. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ერთი დოკუმენტი, რომელზეც „გათავისუფლებისათვის“ მებრძოლ ბრიტანელებს ჯერჯერობით მხოლოდ ოცნება შეუძლიათ.

მაშ ასე:

სარატოვის გუბერნიის სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი ქალების კერძო მფლობელობის გაუქმების შესახებ. კანონიერი ქორწინება, რომელიც ბოლო დრომდე არსებობდა, უდავოდ იმ სოციალური უთანასწორობის პროდუქტია, რომელიც ფესვიანად უნდა ამოიძირკოს საბჭოთა რესპუბლიკაში. დღემდე კანონიერი ქორწინება წარმოადგენდა პროლეტარიატის საწინააღმდეგო სერიოზულ იარაღს ბურჟუაზიის ხელში, რომლის წყალობითაც მშვენიერი სქესის საუკეთესო წარმომადგენლები იმპერიალისტი ბურჟუების საკუთრება იყვნენ. ამიტომ, სარატოვის გუბერნიის სახალხო კომისართა საბჭომ გუბერნიის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დეპუტატთა თანხმობით დაადგინა:

1. 1918 წლის 1 იანვრიდან იკრძალება 17-დან 30 წლამდე ქალების მუდმივი მფლობელობა. ქალის ასაკი განისაზღვრება დაბადების მოწმობითა და პასპორტის ჩანაწერებით, ამ საბუთების არარსებობის შემთხვევაში კი კვარტალური კომიტეტების ან უზუცესების მიერ გარეგნული შეხედულებით და მოწმეების ჩვენებით;

2. ამ დეკრეტის მოქმედება არ ვრცელდება გათხოვილ ქალებზე, რომელთაც პეკავთ ხუთი ან მეტი შვილი;

3. ყოფილ მფლობელებს (ქმრებს) უნარჩუნდებით უფლება, ურიგოდ ისარგებლონ თავიანთი ცოლით. იმ შემთხვევაში, თუ ქმარი ამ დეკრეტის ცხოვრებაში მოქმედებას რაიმეხნად შეუშლის ხელს, ის დაკარგავს ამ სტატიაში მოცემულ უფლებას;

4. ყველა ქალი, რომელიც ამ დეკრეტს ექვემდებარება, გათავისუფლებულია კერძო, მუდმივი მფლობელობისაგან და მთელი მშრომელი ხალხის საკუთრებად ცხადდება;

5. ამ ქალების ზედამხედველობის უფლება მიენიჭათ შესაბამისი გუბერნიების, მაზრების და სოფლების მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების დეპუტატებს;

6. მამაკაც მოქალაქეებს უფლება აქვთ, გამოიყენონ ქალი კვირასში არაუმეტეს ოთხჯერ და არა უმეტეს 3 საათისა, ქვემოთ მოცემული პირობების დაცვით;

7. ყველა მშრომელი ვალდებულია, თავისი შემოსავლიდან 2% სახალხო თაობის ფონდისათვის გამოყოფს;

8. ყველა მამაკაცმა, რომელსაც სურს, ისარგებლოს სახალხო საკუთრების ეგზემპლარით, უნდა წარმოადგინოს მუშათა კომიტეტის ან პროფესიული კავშირის მიერ გაცემული მოწმობა, რომ ნამდვილად განეკუთვნება მშრომელთა კლასს;

9. მამაკაცებს, რომლებიც არ განეკუთვნებიან მშრომელთა კლასს, შეუძლიათ, ისარგებლონ ქალებით მითითებულ ფონდში 1 000 რუბლის გადახდის პირობით;

10. ამ დეკრეტის მიხედვით სახალხო საკუთრებად მიჩნეული ყველა ქალი სახალხო თაობის ფონდიდან მიიღებს დახმარებას თვეში 280 რუბლის ოდენობით;

11. ორსული ქალები თავისუფლდებიან თავიანთი პირდაპირი და სახელმწიფოებრივი ვალდებულები-საგან 4 თვით (3 თვე მშობიარობამდე და 1 თვე მშობიარობის შემდეგ);

12. დაბადებული ბავშვები ერთი თვის შემდეგ იცხოვრებენ თავშესაფარში, სადაც აღიზრდებიან და მიიღებენ განათლებას 17 წლის ასაკამდე;

13. ტყუპის დაბადების შემთხვევაში დედა მიიღებს ჯილდოდ 200 რუბლს;

14. ვენერული დაავადების გავრცელებაში დამნაშავე რევოლუციური სასამართლოს მიერ კანონიერ პასუხისმგებლობაში მიეცემა.

საბედნიეროდ ვეროპელ გლობალიზატებს ჯერ-ჯერობით არ აქვთ ისეთივე განუსაზღვრელი ძალა-უფლება როგორც ქონდა ტროცკის 1918 წელს, მაგრამ ეს მხოლოდ ჯერ-ჯერობით და ვაი რომ შორს არ არის დღე როდესაც ტროცკის ევროპელი მიმდევრები რევოლუციური სიჯიუტითა ხელგაშლილობით და მამუტაბურებით დააკანონებენ „ბედნიერი საზოგადოების“ საკუთარ მოდელს.

# ნახევარი საუკუნეა, აზოგური ბოგბი ზღვის ფსიქოზე ღვს

როგორც გახეო „La Repubblica“-ში არტურო ზამპალიონე წერს, 1958 წელს კაცობრიობა კატასტროფის წინაშე იდგა. ჯორჯიის სანაპიროებთან, კუნძულ ტაიბის საზღვაო წყლები ნახევარ საუკუნეზე მეტია, საშინელ საიდუმლოს მალავს. ამ საიდუმლოს შესახებ 87 წლის პოლკოვნიკმა ჰოვარდ რიჩარდსონმა ისაუბრა. 1958 წლის 5 თებერვალს, სამხედრო სწავლებების დროს, ამერიკის საჰაერო შეიარაღებული ძალების ორი თვითმფრინავი „-86“ და „B-47“ ერთმანეთს შეეჯახა.

ამ უკანასკნელს სწორედ რიჩარდსონი მეთაურობდა. მიუხედავად სერიოზული დაზიანებისა, მისმა მფრინავებმა მოახერხეს თვითმფრინავის კურსის გასწორება და ბორტიდან 3,5-ტონიანი 4 მეტრის სიგრძის ატომური ბომბი „Mark 15“ ვასაუს სრუტეში, ნაპირიდან ორი მილის დაშორებით ჩამოავდეს. მფრინავებს რომ თვითმფრინავი მიეტოვებინათ, აფეთქება მთელ ქალაქ სავანას ფერფლად აქცევდა.

საუბარია ცივი ომის იმ პერიოდზე, როდესაც პენტაგონმა თავშეკავების სტრატეგიის ეფექტის გასაძლიერებლად სასწავლო ფრენები გაააქტიურა და მეტი დამაჯერებლობისთვის თვითმფრინავები ნამდვილი ატომური ბომბებით შეაიარაღა. 1958 წლის ზამთარში რიჩარდსონის გაფრენაც ერთ-ერთი სასწავლო ფრენა იყო.

ეკიპაჟმა შევებით ამოისუნთქა, როდესაც დაინახა, რომ წყალში ჩაგარდნილი ბომბი არ აფეთქდა. პენტაგონი არაერთხელ ეცადა ამ ბომბის პოვნასა და გაუვნებელყოფას, მაგრამ ყველა მცდელობამ წარუმატებლად ჩაიარა. საიდუმლო კვლევების მიხედვით, ბომბი არც უნდა აფეთქდეს და არც ირგვლივ მყოფი გარემო უნდა დააზინდებინოს, მაგრამ რა მოხდებოდა თუკი თუ ამ კვლევების პასუხები არასწორი აღმოჩნდა ან ბომბი ტერორისტებმა იპოვეს? რიჩარდსონი ამბობს, რომ ეს საკვებით კანონზომიერი კითხვებია, მაგრამ მათ არ შეუძლიათ ეჭვქვეშ დააყენონ იმ გადაწყვეტილების სისწორე, რომელიც მან საბელისწერო ღაგეს მიიღო.

„La Repubblica“

# ვინ გადაარჩენს დედამიწას?

მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები შიშობენ, რომ სულ რაღაც 10 წელიწადში ჩვენს პლანეტაზე შეუქცევადი კლიმატური ცვლილებები დაიწყება და სასიკეთო არაფერი გველის. გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა მსოფლიოს დედამიწის გადასარჩენად გაერთიანებისაკენ მოუწოდა. ჩინეთი და აშშ, რომლებზეც საწარმოო გამოწარმისათვის უდიდესი წილი მოდის, თანახმანი არიან. მაგრამ მხოლოდ თანხმობა საქმეს ვერ შევლის, მოქმედება საჭირო, თანაც, დღესვე. ბარაკ ობამას განცხადებით, თუ მსოფლიო კატასტროფის თავიდან ასაცილებლად არც ხელს გაანძრევს და არც ტვინს, მას არა მხოლოდ დაღუპვა, არამედ მომავალი თაობებისგან განკითხვაც ელის. მისივე თქმით, მართალია, განვითარებულ ქვეყნებს გლობალურ დათბობასთან ბრძოლისათვის ჩინეთისა და აშშ-ს მსგავსი რესურსები, უბრალოდ, არ გააჩნიათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სწორედ მათ უნდა მიიღონ სასწრაფო ზომები პრობლემის გადასაჭრელად.

# როგორ მოვიპაროთ მილიონი?

შედეგში ერთ-ერთი კომპანიის გაქურდვას უკვე უწოდეს უპრეტენდენტო. ბოროტმოქმედები თეთრი ვერტმფრენით დაემგნენ შენობის სახურავზე, სულ რამდენიმე ფანჯარა ჩაამტვრიეს, მშვიდად ააფეთქეს ფულისა და ფასიანი ქვების საცავი, მოიპარეს ასობით მილიონი დოლარი და იმავე ვერტმფრენით გაფრინდნენ. ამ ფაქტის შემდეგ სტოკჰოლმის ბანკომატებში ნაღდი ფულის დეფიციტი შეიქმნა.

სამართალდამცველები შემთხვევის ადგილას კი მიცვივნენ და შენობას ალყაც შემოარტყეს, მაგრამ მძარცველებს არავინ დადევნებია, ვინაიდან მათ პოლიციის ვერტმფრენები წინაწარ გამოიყვანეს მწყობრიდან. საქმის გასწავლა ქვეყნის უძლიერეს გამოძიებლებს დაევალათ. მათაც გაარკვიეს, რომ მძარცველების ვერტმფრენი კერძო პირის საკუთრება იყო და ის მილიონების მოპარვამდე ცოტა ხნით ადრე გაიტაცეს აეროპორტიდან.

გამომიების მონაგარი სულ ესაა. მილიონებს, ისევე, როგორც მათ გამტაცებლებს, ჯერჯერობით ვერსად მიაკვლიეს. გამარცხული ობიექტი ნაღდი ფულით ადგილობრივ ბანკო-მატებსა და მრავალ განყოფილებას ამარაგებდა. თუ არაფერი შეიცვალა, ეს დანაკლისი მთელი სტოკჰოლმის ჯიბეს დაეტყობა.



# ბენეარალი მახნიაშვილი ქართული ჯარის შესახებ

გენერალი გიორგი მახნიაშვილი დაიბადა 1870 წელს კასპის რაიონის სოფ. სასირეთში; სათანადო სამხედრო განათლების მიღების შემდეგ რუსეთის არმიაში დაწინაურდა გენერალად; რუსულ წყაროებში ცნობილია მახნიაშვილად. მან თავი გამოიჩინა 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში, სადაც დაიჭრა. პეტერბურგის სამხედრო პოსტიტალში მას თავად იმპერატორის ქალიშვილები უვლიდნენ. ლაზარეთში გენერალი იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ ინახულა, დააჯილდოვა იმპერიის უმაღლესი ჯილდოთი – წმინდა გიორგის ჯვრით და სასახლეში მიწვია.

გენერალი გიორგი მახნიაშვილი პირველ მსოფლიო ომშიც მონაწილეობდა, სადაც პოლონეთის ფრონტზე მიმდებარებულ 1917 წლის დეკემბერში სამშობლოში დაბრუნდა და ორი ეროვნული დივიზია შექმნა.

1918 წლის ბრესტის ზავის პირობებით თურქეთს გადაეცა აჭარა, თუმცა მათ ეს არ იკმარეს – შეიჭრნენ გურიაში და ოზურგეთს მიადგნენ. სახალხო ლაშქრის, პარტიზანების და საჯარო ნაწილების მობილიზაციის საფუძველზე მახნიაშვილმა არამცთუ გურია გამოსტაცა ხელიდან თურქებს, არამედ, მოიპოვა რა გამარჯვება ჩოლოქის ბრძოლაში, ბათუმშიც გაათავისუფლა.

1918 წლის ოქტომბერ-დეკემბერში იყო თბილისის გენერალ-გუბერნატორი. ამავე წლის დეკემბერში სომხეთ-საქართველოს ომისას წარმატებით დაიცვა სამხრეთი საზღვარი. 28 დეკემბერს კი 3500-კაციანი შენაერთით დაღამებისას სრულმასშტაბიანი მტურით აიღო შუღლაგური და რამდენიმე სოფელი. 1919 წელს იყო ახალციხე-ახალქალაქის გენერალ-გუბერნატორი.

იმავე წლის მარტში თურქებმა კვლავ დაიკავეს ბათუმი. ქართველმა ბოლშევიკებმა დახმარება მას სთხოვეს. სერგო ორჯონიკიძემ პირდაპირ განუცხადა, რომ: „როგორც მენშევიკი გენერალი, შენ განიცხადებულე ხარ კანონგარეშედ და ნებისმიერს შეუძლია შენი დახვრეტა. ამიტომ გადმოდი ბოლშევიკების მხარეს.“

მახნიაშვილმა უპასუხა: „მე არც მენშევიკი და არც ბოლშევიკი გენერალი ვარ. მე ქართველი გენერალი ვარ“. მან სასწრაფოდ შეიმუშავა გეგმა, გამოაცხადა ქართული არმიის ნაშთების მობილიზაცია და თურქებს შეუტია.

მახნიაშვილი მტკივნეულად განიცდიდა და აღშფოთებული იყო ქართველ ჯარისკაცთა დაბალი დისციპლინითა და მოუხზადობლივით. ერთგან იგი გულახდილად შენიშნავს: „ბათუმში დაბანაკებული ქართული ჯარები თითქმის მთლად შეხდებოდნენ ფრონტზე მყოფი ძველი ჯარისკაცებიდან, რომელთაც მოვალეობა და დისციპლინა არ სწამდათ და ვერ შეეგნოთ, რომ საშიშარი მტერი ბათუმის დაჭერით არ დაკმაყოფილდებოდა... ოფიცრები შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ, აეხსნათ ჯარისკაცებისათვის, თუ რა სერიოზული საკითხი იდგა ქართველების წინაშე, მაგრამ ყურს არაავინებებდნენ.“

ეს არც იყო გასაკვირი, რადგან, ცნობილია, რომ სოცდევების მთავრობა პროფესიული არმიის შექმნის წინააღმდეგი იყო და მთლიანად თავის პარტიულ „სახალხო გვარდიას“ ეყრდნობოდა. გვარდიელები კი ხშირად დამპყრობლებივით ექცეოდნენ მოსახლეობას. მათ არ გააჩნდა პარტიულად სულიერება და ნაკლებ იზიარებდნენ საერთო-ეროვნულ ინტერესებს. „ასეთი სამარცხვინო არმია საქართველოს არასოდეს ჰყოლიათ“, – წერდა ემიგრაციაში მყოფი ქართველი მემკვიდრე და მართალიც იყო; მსგავსი შეიარაღებული ფორმირების თარეში საქართველომ კიდევ ერთხელ 90-იანი წლების დასაწყისში გამოისცა. ამდენად, 1918-1921 წლების დამოუკიდებლობის დაკარგვა ჩვენთვის ისტორიის სამართლიანი განაჩენი იყო. როგორც მიხაკო წერეთელი შენიშნავდა, „1918 წლის საქართველო უნდა დაღუპულიყო და დაიღუპა კიდევ“. სამწუხაროა, რომ წარსულში დაშვებული შეცდომები ვერც მომავალი თაობებისთვის იქცა ჭკუისსახაწავლებელ გაკვეთილებად.

„1918 წლის 30 მარტს ტფილისიდან მა-

ტარებლით ჩამოვიდა სადგურ სამტრედიამში ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას და კავკასიის არმიის მთავარსარდალი ლებედინსკი, შტაბის უმაღლეს მოსამხაზურეთა თანხლებით. ამავე დროს ბათუმიდან ჩამოვიდა ბათუმის ციხის კომენდანტი გენერალი მდივანი, თათბირი გაიმართა ჟორდანიას რონდაში. გენერალმა მდივანმა წაიკითხა მოხსენება ციხისა, ფორტებისა და გარნიზონის მდგომარეობის შესახებ.

რამი მდგომარეობდა გენ. მდივანის მოხსენება, არ ვიცი, რადგანაც ამ თათბირზე მიწვეული არ ვიყავი. მხოლოდ სხდომის გათავების შემდეგ მიმიწვიეს რონდაში და გენ. მდივანმა გადმოცა მთავარსარდლის ბრძანება, რომ მე დანიშნული ვარ შემომგლევი (Обходная колонна) რაზმის უფროსად, რომელსაც სადგურ ჩაქვიდან უნდა გაეარა ხეობა, ასულიყო მდებარეობა, რომელიც მიდის სამების ფრონტისაკენ და ყოველი დონისივით შეეშალა ხელი ოსმალებისათვის, რათა მათ არ დაეჭრათ სამების ფრონტი.

ჩემს შეკითხვაზე, თუ ვისგან შესდგება ეს შემომგლევი რაზმი, გენ. მდივანმა მიპასუხა, რომ ეს რაზმი შესდგება რეზერვებიდან, სადგურ სამტრედიამში დაბანაკებულ სამხედრო ნაწილებიდან და ათასეულიდან, რომელიც დაბანაკებულია სადგურ ჩაქვის რაიონში.

ამ გეგმას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა და ბათუმის ბედი იმაზე იყო დამოკიდებული, ამ გეგმას სისწრაფით მოეყვანდით სისრულეში, თუ არა.

დაუყოვნებლივ შევუდექი რაზმის შედგენას იმ ანგარიშით, რომ 31 მარტს ჩავსულიყავი ჩაქვში და გათენებისას დამეჭირა ფრონტი სამება.

სამტრედიამში იმ დროს იყო მხოლოდ ერთი პარტიზანული რაზმი ფედერალისტებისა – არჩილ ფურცელაძის უფროსობით რაზმი შესდგებოდა 90 შეიარაღებული კაცისაგან და ჰქონდა 4 ტყვიისმფრქვეველი, იყო კიდევ ერთი ბატარეა კაპიტან სერგო კარგარეთელის უფროსობით. კარგარეთელი გულადი და მცოდნე არტილერისტი იყო, ომის მთელი ხანა დასავლეთის ფრონტზე გაატარა. ფურცელაძეს და კარგარეთელსაც ვუბრძანე, დაუყოვნებლივ ჩამსხდარიყვნენ მატარებელში და ამგვარად გამსადგებელი ევცდლიდ დაპირებულ რეზერვებს ტფილისიდან. მაგრამ რეზერვები არსად სჩანდა. ჩაქვიდანაც მიპასუხეს ტელეგრაფით, აქ არავითარი ათასეული არა სდგას.

იერიშის მიტანა მარტოოდენ არტილერიით, რომელსაც დამცველი ქვეითი ჯარი არა ჰყავდა, შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, საქმის ვითარება საოცრად სისწრაფით ვითარდებოდა და რთულდებოდა. ყოველ საათში ერთ-ერთმანეთზე მოდიოდნენ მატარებლები, დატვირთული მოტაცებული ქონებით, ეს მატარებელი გარედან და შიგნით მთლად გაჭედილი იყო ფრონტიდან გამოქცეული ქართველი ჯარისკაცებით. ისინი ეგარწმუნებდნენ, ვითომ მივლინებულნი იყვნენ თავიანთი ნაწილებიდან წამოდებული ქონების დასაცავად.

სადგურ სამტრედიის კომენდანტი, – ყოჩაღი და საქმის კარგი ამსრულელები საპიორის ოფიცერი, კაპიტანი შენგელია ბევრსა სცდილობდა, შეეჩერებინა გამოქცეული ჯარისკაცები, მაგრამ ვერას აწყობდა, რადგან ამისათვის საკმარისი არა ჰყავდა. გამოქცეულები გარბოდნენ თავიანთ სოფლებსა და სახლებში, თან მიჰქონდათ სახაზინო ტანისამოსი, იარაღი და მოკაზმულობა.

31 მარტს გათენებისას ნათლად გამოირკვა, რომ ბათუმი უნდა დაცემულიყო. მართლაც, პატარა ხანის უკან მოვიდა ცნობა, რომ ბათუმი ჩაბარდა ოსმალებს თავისი გარნიზონით. მე-4 ქვეითმა ლეგიონმა თავისი ნები მიატოვა პოზიციები და გაიქცა ოზურგეთისაკენ. მე-2 ქართული ლეგიონი, რომელიც იდგა ბათუმის აღმოსავლეთით, მშვიდობით გამოვიდა ბათუმიდან და დაბანაკდა სად. ქობულეთთან.

იმავე დღეს, საღამოზე, მე დამიბარა ჟორ-

დანიამ და შემდეგი ამოცანა მომცა: უნდა დაუყოვნებლივ წავსულიყავი სადგურ ნატანებში და ხელი უნდა შეემშალა ოსმალებისათვის, რომ მდინარე ჩოლოქს არ გამოსცილებოდნენ. ამასთან, ჟორდანიას დამპირდა, რომ მიიღებდა ენერგიულ ზომებს და მომსაშველებდა საჭირო ძალებს.

მე ვიცოდი, რომ ჩვენი დელეგაცია ტრაპიზონში მოლაპარაკებას აწარმოებდა ოსმალების სარდლობასთან, რომ ოსმალები მოითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით ქ. ბათუმისა და ბათუმის ოლქის, კი. მთელი აჭარის გადაცემას.

ბათუმში დაბანაკებული ქართული ჯარები თითქმის მთლად შესდგებოდნენ ფრონტზე მყოფი ძველი ჯარისკაცებიდან, რომელთაც მოვალეობა და დისციპლინა არ სწამდათ და ვერ შეეგნოთ, რომ საშიშარი მტერი ბათუმის დაჭერით არ დაკმაყოფილდებოდა. წამოიწვედა წინ, გადმოლახავდა მთელ საქართველოს და ხელს გაუწვდიდა თანამორწმუნე ერებს – აზერბაიჯანის და ჩრდილო-კავკასიის მუსლიმანებს. ყოველ ქართველ მხედარს, რომელსაც მთლად დაკარგული არ ჰქონდა სინდისი, შეგნება და პატიოსნება, ცხადად და ნათლად უნდა სცოდნოდა, რომ ოსმალები საქართველოს ტერიტორიას თუ დაიჭერდა, იგივე დაგვემართებოდა, რაც დაემართა სომხეთს, რომ ბათუმის დაკარგვით დამოუკიდებელ საქართველოს ხელიდან ეცლებოდა ერთადერთი კარგი ნეთსადგური, რომელიც გასაგავი კარია ევროპისაკენ.

ოფიცრები შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ, აეხსნათ ჯარისკაცებისათვის, თუ რა სერიოზული საკითხი იდგა ქართველების წინაშე, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავდა.

ამგვარად, ქართველს დაავიწყდა გამბედაობა და ვეჯაცობა წინაპრებისა, რომლებიც ათეული საუკუნეებით სიცოცხლეს სწირავდნენ და გააფთრებულად იცავდნენ სამშობლოს საზღვრებს.

მთავრობის წევრნი მოდიოდნენ ბათუმში პოზიციების დასათვალისწინებლად, მაგრამ იმის მაგივრად, რომ აეხსნათ ჯარისკაცებისათვის რა ხიფათი მოელოდა საქართველოს, შეიარაღებული მტრის თვალწინ მართავდნენ განუწყვეტელ მიტინგებს და ელაპარაკებოდნენ რევოლუციის მონაპოვარზე. ეს თემა ჯარისკაცებს უკვე მოზებრებული ჰქონდათ. მთავრობის წევრთა გაუთავებელი სიტყვები მათზე აღარავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდა.

ცხადი იყო ერთი, რომ ჯარისკაცს დაეიწყებოდა ჰქონდა დისციპლინა, მოვალეობა და მხოლოდ თავისთავის გადარჩენაზე ფიქრობდა. ამის შემდეგ ის იყო, რომ ქართული ჯარი რამდენჯერმე ნაკლებ მტერს შეუშინდა, უბრძოლველად მიატოვა პოზიციები და ნაწილი გაიქცა, ნაწილი კი მტერს ჩაუვარდა ტყვედ.

ნოე ჟორდანიას ბრძანების შესრულება, ჩემი აზრით, თითქმის შეუძლებელი იყო, რადგან ჩვენ არ გვეყავდა ცოცხალი ძალები, მაგრამ მეორე მხრივ, ბოროტმოქმედება იქნებოდა, თუ მტერს წინ არ გადაეფრებოდა და საშუალებას მიეცემდი, გადავლახნა ჩვენი სამშობლო და გაენადგურებინა ჩვენი ქალაქები და სოფლები.

ცხადი იყო, რომ ერთი მუჭა ქართველი მეომრები – პოზიციების რეზერვებისა და სხვა საჭირო სამხედრო ორგანოების წინდაწინვე მოუშადებლობის გამო – ვერ გაუძლებდნენ ოსმალების იერიშს და უმიზნოდ, უბრალოდ დაიღუპებოდნენ.

მე გადავწყვიტე გადამეტრა გზა მტრისათვის და გავმოგვრებულიყავი მდ. ჩოლოქსა და ნატანების ნაპირებზე (წმ. ნიკოლოზის ფორტიდან სოფ. შემოქმედამდე ფრონტის სივრცე 24 ვერსამდე იყო).

სამხედრო ტაქტიკის მიხედვით, ეს პოზიცია არამც თუ არაფერს არ წარმოადგენდა, პირიქით საზარალოც იყო, რადგან იგი ხელის ეულივითაა გადაშლილი. წინ წაწვეა და კინტრიშის პოზიციის დაჭერა

სახიფათო იყო, რადგან რაზმი მეტად მცირერიცხოვანი მყავდა; და, თუ ვინც ცოცხალი უკან დახვევა მოგვიხდებოდა, მტერს საშუალება მიეცემოდა, დაეჭირა საჯავახო და გამოსულიყო რაიონის ველზე.

ჩოლოქის პოზიციას მე ვუყურებდი როგორც დროებითს გამაგრებულ ადგილს, მაგრამ დაპირებული ჯარის ნაწილების მოსვლისთანავე, ვფიქრობდი, დამეჭირა უფრო ხელსაყრელი პოზიცია მთის ქედზე, რომელიც მიდოდა რკინის გზიდან ნასაკირალის უღელტეხილამდე და შემდეგ – სოფ. შემოქმედამდე.

ჩოლოქის პოზიციას ჰქონდა მხოლოდ ერთი უპირატესობა: ზღვის ნაპირიდან ოზურგეთამდე მდ. ჩოლოქისა და ნატანების ნაპირები ჭაობიანი და თითქმის გაუვალია არტილერიისა და ქარავნისათვის. იქ გავლა შეუძლიათ მხოლოდ მოხუცებულ ადგილობრივ მცხოვრებთ, და ისიც ნაცნობი ბილიკებით. ეს პოზიცია მარჯვენა ფრონტზე მიდოდა შავ ზღვამდე, ხოლო მარცხენაზე – აჭარისტანის მთების სიმაღლემდე, თავისუფალი გასასვლელი ჰქონდა ორგან: რკინისგზის ლიანდაგის გვერდით – მდ. ჩოლოქისა და ნატანების რკინისგზის ხიდებით, და მეორე – მარცხენა ფრთაზე, ლიხაურის ხეობით, ქ. ოზურგეთამდე.

ცხადი იყო, რომ ოსმალები უმთავრესად მოაწვებოდნენ ამ გასაგავ გზებს.

1-ლ აპრილს დილით მე გავედი სამტრედიიდან სამი ეშელონით. როგორც ზვეით მოვისხენიე, ჩემს ძალებს შეადგენდა: პარტიზანული რაზმი არჩილ ფურცელაძისა – 90 შეიარაღებული კაცი და 4 ტყვიისმფრქვეველი; შორაპნის მუშათა რაზმი და 84 კაცი ინჟინერ კუკური ხუნდაძის უფროსობით. სულ მყავდა 174 თოფიანი კაცი, 4 ტყვიისმფრქვეველი და 6 ზარბაზანი, 4 ოფიცრით და 150 ჯარისკაცი. როგორც ხედავთ, რაზმი ძალიან პატარაა, მაგრამ იმდენ მქონდა ჩქარი დახმარებისა აღმოსავლეთ საქართველოდან და ჯარისკაცთა მობილიზაციისა ოზურგეთის მახრამში.

ჩემი რაზმი შესდგებოდა თითქმის მხოლოდ სტუდენტებისა და საშუალო ინტელექტულებისაგან და, აგრეთვე, შორაპნის რაიონის კარგად შეგნებულ მუშებისაგან. ყველას ეხენი მამულიშვილური გრძობით იყვნენ აღჭურვილი და სახეზე ყველას ეტყობოდა გამბედაობა და მტკიცე გადაწყვეტილება, რომ დაიხოცებოდნენ და მტერს კი სამშობლოს ერთ მტკაველ მიწას არ მისცემდნენ.

ნატანებში ჩემს რაზმს მიემატა ჯავშინიანი მატარებელი. იქვე გავიგე, რომ მე-4 ქართული ლეგიონის უფროსი პოლკოვნიკი ს. წერეთელი ოზურგეთში იჭერს მისივე ლეგიონიდან გამოქცეულ ჯარისკაცებს და ამგვარად ხელახლა ადგენს ლეგიონს. ხოლო მე-2 ქვეითი ლეგიონის უფროსი, პოლკოვნიკი ყარაღაშვილი თავის ნარჩენ ნაწილებით გამოვიდა ბათუმიდან და დაბანაკდა ქობულეთში.

უკანასკნელი ცნობა ცხადად მოწმობდა, რომ ოსმალებმა ბათუმი დაიჭირეს, მაგრამ წინ წამოწვეას არ ჩქარობდნენ. საჭირო იყო, გვესარგებლა ამ გარემოებით და საჩქაროდ გავგემაგრებინა პოზიციები მდ. ჩოლოქზე.

თემურ ქორიძე  
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)





# რას ნიშნავს სიტყვა “ეუროპა”

უნდა ვიცოდეთ, რომ ის, რაც ლათინურ, ელლინურ და სხვა უცხოურ ენებზე იწოდება ეუროპა-დ, მეორენაირად წარმოითქმის “**ოროფა**”-დ და სწორედ ის მეორეა მისი საწყისი ფორმა. საყურადღებოა “**ეუროფა**”-ს იდეისა და გამომავლის, - აღმნიშვნელი სიტყვის მიმდინარეობის, წარმომავლობის, სადაურობის საკითხი. ეუროფა (ოროფა) იმ მეფის ასულის სახელია, რომელიც, გადმოცემით, კოლხების ერთ-ერთი ნაწილის - პელაზგების დემონია, სახელად “**ჰე**”-მ (ზე-ბუნებრივი არსის ძემ) ზეგმა გაიტაცა და ნაასახლა კუნძულ კურატოზე (ამჟამად კრეტა რომ ეწოდება) იმ მიდამოში, რომელსაც კოლხური სახელი “**გორდი**” ერქვა იმჟამად და “**გორდი**” ჰქვია დღესაც (იქაური სამოგზაური ბიუროს ცნობით). ის კუნძულიც ძირძველი კოლხური მხარეა. იქაურმა მოსახლეობამ ათასწლეულების მანძილზე ერთგულად და სიყვარულით შეინარჩუნა მისი სახელწოდება “**გორდი**”. საყურადღებოა, რომ იმ კუნძულიდან დიდი მანძილით დაშორებულ სხვა კოლხურ მხარეში, კოლხების სამთავროს მმართველი - დაქვრივებული დედოფალი ეკატერინე დადიანიც - ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული ცხოვრობდა ქალაქ “**გორდ**”-ში - სამეგრელოს სამთავროს სასახლეში (მე-19 საუკუნეში) და იქვეა დაკრძალული ტაძრის ეზოში. კურატო (კრეტას) კუთვნილ ერთ პატარა კუნძულს ამჟამადაც ძველი სახელი - “**კოლიხი**” (კოლხეთი) ეწოდება - წერს იქაური სამოგზაურო დაწესებულების თანამშრომელი (საინტერნეტო განცხადებაში, რომელიც ვიხილე 2007 წლის 9 ივლისს). კარგი იქნება, რომ ტელევიზიით გვაჩვენონ კურატოს კუთვნილი კუნძულის - “**კოლხეთის**” მოსახლეობის ხალხური შემოქმედება. კუნძულ კურატოზე (კრეტაზე) მდებარე ქალაქ ფაიოს (ფაისტოს) მიდამოში 1908 წელს არქეოლოგმა დიდი პერნიემ აღმოაჩინა ძველთაძველი, თიხისაგან გამოქრული, მრგვალი ფირფიტა (რომელიც შემდეგ პროფესორმა გია კვაშილავამ გაშიფრა - “**ილირი**”); ნაქალაქარის ძველთაძველი სახელია “**ფაიო**”, იგივე “**ფაიოს**”. დიდი ხნის სემიტურ ქალაქ “**ფაიო**”-ს (“**ფაიოს**”) ოდნავ შეცვლილი სახელი - “**ფაისტო**” - მოიხსენიებდნენ ელინური ტექსტები.

ქალაქ ფაიოს შემდგომში უცხოელები “**ფესტოს**” სახელით მოიხსენიებდნენ. იქ ლუიჯი პერნიეს მიერ 1908 წელს აღმოჩენილ თიხის “**დისკოს**” კოლხური თქროდამწერლობის წესით - ოქროს ტვიფარით (ყალიბით) დაბეჭდილია ნახატ-ნიშნებიანი და მარცვლოვანი დამწერლობით შესრულებული ტექსტი - დედა-დეობების, ნანაიასადმი მიძღვნილი საგალობელი. ოქროს ტვიფარი (ყალიბი) საუკეთესოა, რადგან მისი ანაბეჭდები უფრო მეტია. ნანაიასადმი მიძღვნილი სიმღერები ამჟამადაც ჩვენი მოდგმის, ანუ ჩვენიანების უსაყვარლესი სიმღერებია.

უნდა ვიცოდეთ, რომ კოლხებმა ეწოდეთ ჩვენს სახელმწიფოს - კოლხეთს “**ქართი**”; მისი განვრცობილი სახელია “**ქი-ართი**”. “**ქი**” კოლხურში ნიშნავს სახელმწიფოს (სამეფოს), ხოლო “**ართი**” ნიშნავს “**ერთს**” ანუ “**ერთიანს**” (ბატონ კუკური ფიფიას ამ ცნობის მოწოდებისათვის მადლობას ვუძღვნი).

**ოროფა კოლხურად სიზვარულს ნიშნავს**  
 აუცილებელია განვმარტოთ ის სინამდვილე, რომ “**ოროფა**” ქართების (ქართველების) მიერ შექმნილი ქართული სიტყვაა (კერძოდ - კოლხურია) და ნიშნავს “**სიყვარულს**” - ადამიანის ყველაზე სათუთ, კეთილშობილ გრძნობას გამოსატყავს, რაც კი არსებობს. უკეთ გავისწავლოთ ერთი **თუქმულება** (ამ სიტყვის ძირია სამი ასო: **ს**, **ე**, **ფ**) წლის წინ ლურსმული დამწერლობით დაბეჭდილი კოლხური სიტყვა “**თუქუ**” - თქმა, ლაპარაკი, ანუ თქმულება ოროფა-ს ზეგის მიერ გატაცებისა და მახლობელ კოლხურ კუნძულზე ნასახლეობის შესახებ, სადაც მასთან სამი ვაჟი შეეძინა; უფროსი მინო, ანუ მინოსი იქვე გაიფუდა და ცოლად ჰყავდა აიეტის ასულის - მელვას და, სახელად “**ფასიფა**”. იმ თქმულებას, უეჭველად, ისტორიული საფუძველი აქვს, ნამდვილად მომხდარ მოვლენას ასახავს; სახელდობრ, უეჭველად წარმოაჩენს იმ ფართოდ გახმაურებულ მოვლენას, რომ ზნეობრივი, კულტურული, ქონებრივი დიდება, სიკეთე, სწორედ მშობლიურ სახელმწიფოში იყო დაუნჯებული და თავმოყრილი. ოროფას სამშობლო, სადაც ცხოვრობდნენ მისი ერის, მოდგმის, ჯიშის ადამიანები, სადაც დაიბადა, აღიზარდა, მოწოდებისას ასაკს მიაღწია, ზრდასრულად აღიზარდა ჩამოყალიბდა წინაპრებისაგან შთამომავლობით მინიჭებული ეროვნული

ნიშან-თვისებებით, არის აია-ს, იმავე, ქართ-ის სახელით ცნობილი ძველთაძველი ვრცელი სახელმწიფო. დამატებით, გაცნობებით, რომ რამდენიმე თქმულებით ცნობილი ლიტერატურული გმირის - “**ორფე**”-ს (ელლინურში ემატება ბოლოსართი “**ოს**” და ხდება “**ორფოს**”) სახელიც კოლხურ სიტყვას “**ოროფა**” (სიყვარული) შეესაბამება; ის კოლხი შეყვარებული იყო და ამიტომ ტკბილად ემღერებოდა, რითაც ისე გაითქვა სახელი, რომ მომდევნო ათასწლეულებშიც კი მისი სიმღერების ქება ისმის. ორფე (ორფოსის) სახელის კოლხურ სიტყვა ოროფასთან კავშირი შეამჩნია ნუგზარ კვაშილავამ და დამაკვილიანა.

### სიზვარულით შემატყობილი მხარე

ოროფას (ეუროფას) ძირძველი კოლხური მნიშვნელობა - სიყვარულით სავსე მხარე - ძველთაძველ ფართოდ იყო ცნობილი. დიდი ხნის შემდეგ, უცხოელმა მტრებმა გამოიხილეს გააფრცხვლეს სხვა მოსაზრება, შექმნეს თქმულება, რომელშიც კოლხების (პელაზგების) ეროვნული გმირი - ზეგის ასეა ეროვნება მიაკუთვნეს, ამით მოსწვევით მის ეროვნულ ფესვებს და ვითარება გააყალბეს. თქმულების თანახმად, ეუროფა მეფის ასულის სახელია; ის სეუვარდა დემონ ზეგის, გაიტაცა და მახლობელ კუნძულ კრეტაზე - მიდამო გორდში დაასახლა (ეუროფა მიაკავრით ძველთაძველ კოლხურ გეოგრაფიულ სახელწოდებას “**გორდი**”). ზეგის, დროებით, ღამაზ თიერ კუროდ (ხარად) იქცა და ოროფას მიუხედავად მაშინ, როდესაც ქალი თანატოლთაგან ტბის პირას სეირნობდა, ხე-მცენარეთა მშვენიერებით, ჩიტების გამოებით, ჭიკჭიკით ტკებოდა. თეთრი კურო ჩვეულებრივ ცხოველად ეგონათ. ოროფა ზღვის ნაპირთან მშვიდად წამოწოდდა კუროსთან მივლიან, მის ზურგზე ჩამოჯდა. კურო ნერვულად წყალობა შევიდა, გასცურა, ბოლოს კი გაფრინდა კუნძულ კრეტასაკენ, ქალი გაიტაცა და ახლობლები დაუნდვლიანდა. ოროფას მამა შეშფოთდა, ასულის საძებრად ვაჟი შეიძლია, სახელად “**კილიხი**”, გაგზავნა და ოროფას გარეშე დაბრუნება აუკრძალა. იმ ვაჟის სახელი “**კილიხი**” - ათასწლეულების მანძილზე ეწოდებოდა “**დიდი ზღვიოს**” (ამჟამად “**ხმელთაშუა ზღვა**”) ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმდებარე ვრცელ მხარეს (კილიხი-კილიხია-კილიკია-კილიხეთი-კილიხეთი). დის საძებრად გაგზავნილი ვაჟაკი, სახელად კილიხი, - რადგან მამის დავალებს ვერ შეასრულა - დაიკარგა, დაიღუპა, შინ ვეღარ დაბრუნდა. კილიხის მხარე ანუ კილიხია ძირძველი კოლხეთი ანუ “**ქი ართი**” არის. ოროფას, კუნძულ კრეტაზე - გეოგრაფიულ მხარე “**გორდში**” ცხოვრებისას (შეძინა სამი ვაჟი. უფროსის სახელია მინო (მინოსი); ის შემდგომში კუნძულ კრეტას (სადაც დაიბადა და აღიზარდა) მეფე გახდა; თქმულების მიხედვით, ოროფას შვილთა შვილია დევკალიონი. დევკალიონის შვილია პრომეთე, რომელსაც, ჩვენებურად, ამირანი ეწოდება. ლურსმული დამწერლობის მონაცემებით, სიტყვა “**ამირანი**” დაკავშირებულია ცნებებთან: “**იხილა**”, “**ინახულა**”, “**მწიფე**” (სახამართლოში). დევკალიონის სახელის ასხნა ქართველური მასალის საფუძველზე შესაძლებელია. განსაკუთრებით საყურადღებოა დევკალიონის შესახებ თქმულებაში ის მონაკვეთი, რომელშიც მამამისი (დემონი) ამცნობს მოსალოდნელი დიდი წყალდიდობის შესახებ და ასწავლის თავის გადარჩენის საშუალებას. დევკალიონი ცოლითურთ გადარჩა და მისი მოდგმა იმ არემარის ძირძველი მოსახლეობა, თუ თქმულებას ვენდობით. კიდევ უფრო ძველია სხვა თქმულება, კერძოდ, ქართველთა მოდგმის მოსახლეობის დეობა “**ვა**”-ს მიერ თავისი ვაჟიშვილის - ქალაქ ურუქში (ერესში) მცხოვრებ მეფის - მოსალოდნელ წარდგანასთან დაკავშირებით გაფრთხილებაზე, მის გადაარჩენაზე და მომდევნო ხანის იქაური მოსახლეობის მისგან მომდინარეობაზე. კიდევ უფრო მოგვიანებით, დემონის მიერ კაცის გადარჩენა აღიბეჭდა ბიბლიაში. სამიდან უეჭველად **ვა**-ს შესახებ ლურსმული დამწერლობით დაბეჭდილი, ამჟამად მუხუდში დაუნჯებული ტექსტი ტიხის ფირფიტაზე. მომდევნო თქმულებები, მისი გათავალისწინებით, გაცილებით გვიან შეიქმნა... ოროფა პრომეთეს, ანუ ამირანის დიდება (ბეიბია). ეს ამბავი ჩვენთან ნიელი ასაკიდანვე უნდა აუგუსნათ, ოროფასადმი პატივისცემა უნდა ჩაუწეროთ...

### ოროფა (ეუროფა) კონტინენტის სახელწოდება

ოროფას (ეუროფას) სახელი, მოგვიანებით,

მიეკუთვნა კონტინენტს, რომლის სახელად სხვა, მიმდებარე კონტინენტთან მუდამ დავას იწვევდა წინათ. ამჟამადაც ის სახელადი სადავო და დაუდგენელია. მეთხველებს ვთავაზობ დაფიქრდნენ იმ საკითხზე, თუ როგორ დაეიბრუნათ ცნება ოროფა (ეუროფა) მისმა (ქალის) თანათესაებმა ერმა - კოლხებმა.

ამჟამად ოროფას (ეუროფას) კონტინენტის, მხარის ნაწილად ითვლება რუსეთიც, რომელიც ხლავერი სახელმწიფოა...

პიროვნება, ქალი - ეუროფა (ოროფა) მრავალი მოქანდაკის, მხატვრის შთაგონების წყარო გახდარა ათასწლეულთა მანძილზე. არსებობს მისი ძველთაძველი, ქვაზე ნაკვეთი ბრტყელი გამოსახულება: ოროფა კუროს ზურგზე ამხედრებული; ნივთი მუხუდშია დაუნჯებული. უცხოელი მეკლევერი ხსენებული გამოსახულების მხიდელებს განუმარტავს, რომ გამოსახულებას აქვს “**მიდღლი-ისტენ**” (“**შუა აღმოსავლეთის**”) ნიშნებისათვის (მე-19 საუკუნეში გამოგონებული ეს ცნება ბუნდოვანია) დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. ის მხარე (მიდღლი ისტენ - მიდღლი ისტენ) მოიცავს, სამხრეთით - ევფრატის, ტიგროსის აუზებს; ჩრდილოეთით, რახსის (რახსი ცხენის მდინარეს, ცხენისათვის გადასალახ ფონიან მდინარეს ნიშნავს), მტკუარის, არაგვის (“**თიერი**” და “**შაგვი**” არაგვის) და სხვა დიდ მდინარეთა აუზებს.

ოროფაზე თქმულება ამჟამადაც პოლიტიკური წრეების გარემოცვის ერთ-ერთი საყვარელი თემაა. ნათქვამის მაგალითად გამოდგება იტალიის მთავრობის მიერ 2005 წელს ფართოდ მიმოქცევაში გამოშვებული ორი ევროს ღირებულების მონეტა. მასზე ასახულია შეფიქრანებული, ამჟამინდელი “**ევროპის კონსტიტუციის**” ტექსტის შედგენის საზრუნავით მოცული და, ამიტომ, შუბლ-შეჭმუნებული, დაფიქრებული, გონებრივი შრომით დაქანებული, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი - ეუროფა (ოროფა); ეუროფის კონსტიტუციის ტექსტის დასაწერად, ხელში ბატის ფრთა-კალამი მოუმარჯვებია, კოსტა ეუვა ქართულის მსგავსი ღუნქით დაუბურავს. იქვე გამოსახულია კური (დემონი ზეგის); ამით მინიშნებულია კონსტიტუციის ტექსტის შედგენაში ზეგის მონაწილეობა. ღამაზი მონეტაა. ელლინებმაც გამოიშვეს რამდენიმე სახის მონეტა “**ეურო**” ოროფასა და კუროს გამოსახულებით. ჩვენიანები თუ შექმნიან ოროფას სიმბოლოთი (ნიშნით) დამწვენებულ, ეროვნული (ქართული) “**მაგასხელობით**” (სისხლისმიერი, ჯიშისმიერი) სიყვარულის გამაღვივებელ რომელიმე სანუკარ ნიშნულ (ბრტყელ ან მრგვალ ქანდაკებას, ნახატს, ნაქარვს, ხალიჩას, მონეტას, ღერს), ეს მტკად სასიამოვნო იქნება.

2005 წელს ტოკიოში ჩატარდა არქეოლოგთა მსოფლიო ყრილობა. ერთი მოხსენება მილიანად მიქედნა ევროპელობის გათავისების დონეს ამჟამად ევროპად წოდებულ კონტინენტზე. ერთი მოხსენება მილიანად მიქედნა ევროპელობის გათავისების დონეს ამჟამად ევროპად წოდებულ კონტინენტზე. ადინიშნა, რომ იქაური მოსახლეობის დიდი ნაწილი არც წარმოშობით, არც ეროვნული თვისებებით, არც გარეგნობით, არ არის ის, რასაც მოიაზრებენ ცნებით “**ევროპელი**”. ამ მიზეზით ვერ მოხერხდა ევროპის მოსახლეობის გაერთიანება - ევროპის გათავისების შინაარსით. პირიქით, იმდღეა ურთიერთგანკერძოებისაკენ მოსწავება. ამის ნიშნად გერმანიაში ოთხი სახის ახალი ფული შემოღდა მის ოთხ მხარეში, ქვეყნის შიგნით მოსახლარად. ის ვალუტა კი არა, “**გაუნერაო**”, წერენ სპეციალისტები. ფული “**ეურო**” ზოგ სახელმწიფოში არ უყვართ.

სხვისი სიკეთის, სიმდიდრის, მიწა-წყლის, წარსულის, დამწერლობის მიტაცება, დაეანადება, საკადრისი, მოსაწონი საქციელი არ არის არც ერთ დროში. ელლინებისა და სხვა ეროვნებების მიერ ქართველების (ქართველების) მიწა-წყლის, ქონებისა და მრავალი სხვა სიკეთის მიტაცების ჯამიდან, არა და არ ეღირსა სხენებულ გეოგრაფიულ მხარეებს მშვიდობა. ძირძველ მოსახლეობაზე ძალმომრეობით, მათი ელტვით, უცხოტომებოთ თავდამსხმელების დასახლებით, გადაგვარდა იქაური ძირძველი “**ჯინჯი**” ერის ყოფა, ცხოვრება. გაუარესდა, შეიცვალა მრავალათასწლეულიანი კულტურული წესილი შემოქმედითი მოსახლეობის მიერ ხელი-ხელ ნაგოგმანები და დიდი რუდუნებით შენარჩუნებული დახვეწილი ადათ-წესები, ჩვევები, ჩვეულებები.

ამჟამად ოროფა (ეუროფა), სამხედრო-თავდაცვითი (თუ თავდასხმითი) ორგანიზაცია “**ნატო**”-ს სახით, ძილს უფროსობს მთელ მსოფლიოს, განსაკუთრებით ზემოხსენებული

ვრცელი რეგიონის მოსახლეობას. მიზანშეწონილი და სასურველია ოროფა (ეუროპის - როგორც ცნების, ასევე შინაარსისა და რაობის) დაბრუნება იმ ვრცელი რეგიონისათვის, საიდანაც გაიტაცეს ოროფა (ეუროფა) დიდი ხნის წინ. ცნება ეუროპელი (ოროფელი) ამჟამად მიტაცებული და მოთვისებული აქვს იმ ჭრულ მოსახლეობას, რომელსაც ქართი (კოლხი ასულის-ოროფას) ერის მონათესავედ ვერ მივიჩნევთ და ვერ ვაღიარებთ. ცნება ოროფა (ეუროპის), ასე ვთქვათ, დაბრუნება მისი სამშობლოსადმი - ქართულის ანუ კოლხების სახელმწიფოსადმი, სასიკეთო იქნება. ეს აუცილებელია სამართლიანობის აღსადგენად, რადგან ოროფას “**გატაცება**”, გადაადგილება, რაც გადატანითი მნიშვნელობით, ასახავს ეროვნულად ნათესაური, ესე იგი, “**მაგასხელობითი** სიყვარულით” (სისხლისმიერი, ერთი ეროვნების მქონე წევრების ურთიერთ სიყვარულს აღნიშნავს), ერთმანეთთან ძველთაძველ შედგენილებული მოსახლეობის გახლეჩა, დაშორება, მათს სხვადასხვა - ერთიერთ დაპირისპირებულ ქვეყნებსა და პოლიტიკურ ბანაკებში გამოიხილად გამოქცევა, რასაც კაცობრიობის, ადამიანობის, სამართლიანობის ბუნების მტრები სწადიოდნენ ხოლმე წინათ და სწადიან ახლაც, დიდ კატასტროფულ ძვრებს იწვევდა მუდამ. მას ეწირებოდა მილიონობით უდანაშაულო, სხვათა დაპირისპირებებში ჩათრეული მოსახლეობა. ამ უბედურებისაგან თავდასაღწევად, უნდა უწვდომო მეცნიერების ალაგმვა; ხელი უნდა შეეწყოთ მშვიდობის დაპყობვას და სენარჩუნებას მშვენიერი ოროფას მშობლიურ გეოგრაფიულ მხარეში. “**ოროფაში ნენა**” - ეს ძველქართული ფრაზა ნიშნავს: “**საყვარელი ენა**” (მშობლიური ქართული - ლაზური იგულისხმება); ფრაზაში სიტყვა “**ოროფაში**” ნიშნავს “**ძვირფასს**, საყვარელს”; მოიცავს ძველთაძველ შინაარსს. უთავებლობაა, რომ ქართული (მეგრული, ლაზური) ცნება “**ოროფა**” მიტაცებული აქვს იმ კონტინენტს, რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილი იქ აღმოსავლეთიდან ცეცხლითა და მახვილით შეიჭრა, გაწვიტა ადგილობრივი მოსახლეობა და ძალმომრეობით დასახლდა არც თუ დიდი ხნის წინ (წერილობით ცნობებში ეს ასახულია)...

სიტყვა “**ეუროფა**” (“**ეუროპა**”) არაქართულ ენებში ქართული “**ოროფა**”-დან გადასულია, ნახსენებია. აპოსტროფი, ანუ “**ხედა** მძიმის ნიშანი” ამ სიტყვის თავში ასახავს იმ ასობგერას, რომელსაც არაქართულ ენებში შესატყვისი არ გააჩნია, ძველთაძველია; ქართულში გამოსახება მარჯვნივ თავშეკეული, მიბრუნებული ასო “**ე**”-თი.


რაკი დადგინდა რომ ძველი ქართველური მეტყველებიდან “**ოროფა**” მომდინარეობს კონტინენტის დამახასიათებელი სახელი (“**ევროპა**”), უნდა მივალწით მისი ძველი ქართველური სახელის “**ოროფა**”-ს აღდგენას, რაც დღემდე შენარჩუნებული აქვთ ლაზებს. უნდა დავსძინოთ, რომ აღნიშნული კონტინენტის სახელის ასეთ ფორცვალებას არა მარტო საენათმეცნიერო მოწინააღმდეგეობა აქვს, არამედ ის ნათლად ასახავს და წარმოაჩენს ქართველური მოდგმის მოსახლეობის კულტურულ წვლილს.

ჩვენი მოდგმის მტრების მიერ ეუროფა (ოროფა) გეოგრაფიული სახელწოდების სხვა მხარისადმი მიკუთვნების შემდგომ, ჩვენიანების სახელმწიფოებრივ და პირად ცხოვრებაში სიხარული იშვიათად ისადაურებს, რადგან ოროფა (სიყვარული) წარგვტაცეს. შენიშვნა: ელინურ ენაში გვერდიგვერდ მდგარი “**ა**” და “**ი**” (“**აი**”) იკითხება არა როგორც “**აი**”, არამედ, როგორც ერთი ბგერა “**ე**”. ამიტომ ელლინურად ნაწერ სიტყვას “**ფაისტოს**” აუღერებენ არა იმავე სახით, არამედ, “**ფესტოს**”-ის სახით; იმგვარადვე იმავე წესის გათვალისწინებით, ჩვენი (კოლხების - ქართველების) სამეფოს ერთ-ერთ ძველ სახელს ელლინები წერდნენ “**აია**”-დ, მაგრამ რადგანაც მათ ენაში გვერდიგვერდ მყოფი “**აი**” იკითხება “**ე**”-დ, ამიტომ ჩვენი სამეფოს სახელს ელლინურად სხვა ენაზე მთარგმნელები დაბეჭდავენ ხოლმე ორგვარად: “**ეა**” ან “**აია**”. ორივე სწორია, რადგან კოლხების ყველა სახის დამწერლობით (რამდენიმე სახის დამწერლობა გვაქვს) “**აი**”-ც და “**ეა**”-ც დაუბრკოლებლად აღიბეჭდებოდა ხოლმე წინათ. ამჟამადაც ასეა. კოლხურ (ქართულ) დამწერლობიან სიტყვებში “**აი**”-ს ცვლილების წესი “**ე**”-დ არ არსებობდა და არც არსებობს.

ნათელა ფოფხაძე, მეკლევერი



# სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურებრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიაგლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შეიღების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.

ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა აღაგმეს.

## კორნელი ბოროზდინი

თავადი ბარიატინსკი მერე იტყოდა ხოლმე: ხელმწიფესთან, რომ მივედი და, სხვათა შორის, სამეგრელოს საქმეს გავიხსენეთ, ხელმწიფემ დიმილით მითხრა:

„იცი, დედოფალი ჩვენ ორსავედზევე ჭკუიანი გამოდგა, იმდენი რამე მიჭიბ-მოჭიბია, რომ, ბოლოს, იძულებულ შევიქმენ, ტყუილა-უბრალოდ ათასი თუმანი იჯარა მიმეცა. წაგებული არ არის.“

ამ ამით გათავდა თითქმის ოთხის წლის მოღვაწეობა ძმათა კოლეჯობა-კინებისა სამეგრელოში. პირველადვე იმათ მოჭიკდეს საქმეს ხელი და ეს საქმე წესიერად, პატიოსნად და მხნედ მიჰყავდათ; მე წილად მხვდა მათი მახლობელი თანამშრომელი ყოფილიყავ, ამიტომ ჩემს თავს ბედნიერადა ვთვლი, რომ მოხუცებულობის ჟამს შევძელი დავწერილებით sine ira et studio აღმეწერნა ყველა გარემოებანი ამ საინტერესო დროისა.

ყველა საქმეში, სადაც გარეულია დიდი ინტერესი, თავიდათავი როლი ადამიანის გრძნობასა და ვნებათა-ღელვას უპერია; აქაც ასე იყო. ქმრის სიკვდილის დღიდანვე დედოფლის საქმე მეტად დაიხლართა. ხოლო მისმა წრეს-გადასულმა თავმოყვარეობამ და სანგუნურმა ხასიათმა უარესად აწეწა ყველაფერი. ამ შემთხვევაში, მიუხედავად მისის უჭკველის ჭკუიანობისა, დედოფლის გონება უფრო გრძნობას და ვნებათა-ღელვას ემორჩილებოდა, ეს იწვევდა თვითნებობას, და დედოფალი თვითონაც ვერ ამჩნევდა, ისე საქმეს იფუჭებდა.

პეტერბურგიდან, ტახტზე ხელმწიფის ასკლის შემდეგ, სამეგრელოში რომ დაბრუნდა, დედოფალს ადვილად შეეძლო აჯანყებული ხალხი მკაცრის ღონისძიებით ან და უფრო გულკეთილის მოქმედებით დაემშვიდებინა, გონებაც ამას ურჩევდა, მაგრამ ეშმაკად, თვალწინ აეხირა გრიგოლი, რომელიც საშინლად გჯავრებოდა და მისმა სიძულვილმა ყველაფერი დააიწეწა, ისე დაბრმავდა, რომ მარტო იმასა ცდილობდა ამ კაცის ჯავრი ეყარნა. ხალხი და მისი გაჭირვება სულ გადააიწეწა. ბოლოს, დედოფალმა კოლეჯობის მთავრობა, მაგრამ მაშინათვე წაენსება და მას შემდეგ თავის ჯიუტობის წყალობით უარესად იფუჭებდა საქმეს. დედოფალი იძულებული შეიქნა სამეგრელოს მოშორებოდა. ამ დროს თავისი შეიღების ქონების დამცველად მოიხმო მასავით ცხარი და თვითნება კაცი. მურავიოვის დროს მომხდარი მისი თავგადასავალი რომ მოიხმინა, ეს კაცი გაბრაზდა და განსაკუთრებული თავგამოდებით იკისრა როლი

ქალის რაინდისა, ამიტომ რომ ამ ქალს ის დანაგრულად და შეურაცყოფილად რაცხდა. მისმა მზრუნველმა პირველ წლებში რაც გააკეთა, უკვე გაიამბეთ, ხოლო შემდეგ წლებში სამაგისო ხეირი არა დაუყრიარა მცირეწლოვან მემკვიდრის ინტერესებისათვის. როცა ნიკოლოზი სამეგრელოში დაბრუნდა, თავისი მამულის საქმეები ისე აღუფხულ-დაღუფხული დახვდა, რომ მერე ოცი წელიწადი ეცადა და მაინც ვერც თავი გაუგო და ვერც ბოლო.

ამ რაინდ-მზრუნველის მაგადი უბრალო სიკვდილის შვილი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ადგილობრივს აღმინისტრაციასთან თანხმობით საქმის გაკეთება შესძლებოდა; ეს მზრუნველი უნდა ცდილიყო მთავრის მამულები გაემიჯნათ, მაშინ, სანამ მემკვიდრე სრულწლოვანი გახდებოდა, ეს უსაჭიროესი საქმე გათავადებოდა კიდევ და ნიკოლოზი ას ორმოც და ათზე მეტს საქმეს არც კი წააგებდა თავის დროზე მამულების გაუმჯობესების მეთოდებით. ცამეტმა წელიწადმა განვლო, რაც სამეგრელოს თავი დაგანებე და 1874 წელს მომხდა ამ მხარეში გავლა, როგორც კერძო კაცს. ახალ-სენაკში რკინის გზის ბაქანზე გამოვედი, მატარებელი აქ მთელი ნახევარი საათი გაჩერდა, და პირველი კაცი, რომელიც აქ შემხვდა, ბესარიონ ქავთარაძე იყო, ჩემი წინანდელი თარჯიმანი და აწ პოლიციის ბეჭეული დაბა ახალ-სენაკისა. გულწრფელად გაეხარდა ჩემი ნახვა და მხურვალედ გადაკოცნეთ ერთმანეთი. ერთ წუთსაც არ გუფიქვია, რამდენიმე სხვაც მოვიდნენ ჩემთან, ყველანი ჩემი ძველი ნაცნობები გამოდგნენ, მათ შორის ერთგუნე თავადები და აზნაურებიც, ყველას გაეხარდა ჩემი ნახვა და მომესალმნენ.

სანამ მატარებელი დაიდროდა, ყველანი საღვურის ბუფეტში შევიწვიე, მოვატანინე თერმონია და დასანაყრებელი და გავაბით ლაპარაკი. პირველად ნ. კოლეჯობაინის ამბავი მკითხეს. რომ ვუთხარი, გარდაიცვალა-მეთქი, ყველამ სასოებით პირჯვარი გადაიწერეს და ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროსო. ნ. კოლეჯობაინი 1869 წელს გარდაიცვალა მოსკოვში, როცა სენატორად დანიშნეს. მისი ძმა მის. კოლეჯობაინი ბაქოში იყო გუბერნატორად.

ყველანი ჩამაცივდნენ და მეპატიუბოდნენ, ერთის კვირით მაინც დარჩით ჩვენთან და ყველანი გვიჩაუხულო; განსაკუთრებით ბესარიონი მთხოვდა, მაინც და მაინც დარჩიო, და მეც დავრჩებოდი, საჩქარო საქმე რომ არ მქონებოდა.

— როგორა სცხოვრობთ? — ვკითხე ჩემს

თანამოსაუბრეებს, — ახლა ხომ უკეთესადა ხართ?

— კარგად კი ვცხოვრობთ, მაგრამ რა გამოვიდა, ამ სასამართლოებმა საშინლად გაამრავლა ადვოკატები... ყოველ სოფელში არის თითო ადვოკატი. ისევე ჩვენი გლეხთაგანი... კანონის ყველა მუხლები სუყველამ ზეპირად იცინა და სეტყვასავით აყრიან ხოლმე სასამართლოში...

— ქურდობა?

— წინანდელზე უარესადაა. გაგვიჭირეს სიცოცხლე! ან რა გასაკვირველია, რომ თავხედურად ითარეშონ, — შიში და რიდი არავის აქვთ!

— გლეხებთან როგორ განწყობილებაში ხართ?

— არა უშავს-რა. საშინლად გამდიდრდნენ, ბატონებისაგან მიწები შეისყიდეს, ხაზინა არც კი დახმარებია, ყველაფერი თავის ფულით მოიქმედეს.

— მერე და საიდან შეიძინეს ქონება?

— ძალიან ბევრნი მიდიან შავი ზღვის ნაპირების ნავსადგურებზე სამუშაოდ, ამ ადგილებში სამუშაო სულ მუდამ არის ხოლმე, მთელი არტელები შეადგინეს მეგრელებისა... ბევრსა სთვსენ აგრეთვე სიმინდს...

— თქვენ, მეპატონენი, როგორ-და ბრძანდებით?

— ცუდად.

მერე მოჰყვენენ წუწუნს: შვილებს სწავლება უნდათ, შეძლება არა გვაქვს, სკოლები არა გვეყოფის და, გარდა ამისა, ვინც სკოლებს ათავებენ, რაღაც უცნაურები გამოდიან... თავისი ავიწყდებით და არც ახალს რამეს იძენენო...

ამ დროს დარეკეს და იძულებულ შევიქმენ ჩემს ძველს ნაცნობებსა და მეგობრებს გამოეთხოვებოდი. მხურვალედ მეთხოვებოდნენ და მთხოვდნენ, უმჯობესად გვეწვიო...

მატარებელმა საჩქაროდ გამაქროლა. ახალ-სენაკის საღვურზე გამართული ბაასი ისევ ყურში მედგა და განაგონი სანუგეშოდ მრჩებოდა... მეგრულ-მუშების არტელები შავი ზღვის სანაპირო ნავსადგურებში, ბევრ სიმინდის მოწვევა, გლეხებისაგან გამოსული ადვოკატები... ყოველივე ეს იმის საბუთი იყო, რომ რაი გლეხის შრომამა და ოფლმა გზა ფართო იშოვნა, ნაყოფიც შესაფერისი გამოიღო. მეპატონეები წუწუნებდნენ, ცხოვრება გვიჭირსო, მაგრამ ცოტა გადაჭარბებულად მეჩვენა მათი წუწუნი და ჩივილი... მთხურეს, შვილებს სკოლებში ვასწავლით, მაგრამ სკოლები არა გვეყოფისო, — ესეც თავმდებია იმისი, რომ მათი ცხოვრება გაუმჯობესდება. მათმა შვილებმა თუ, სულ მცირედიც არის, სწავლა მიიღეს, რა თქმა უნდა, მახინჯობას არ დაიწყებენ.

აბა სამეგრელო ამ ოცის წლის წინათ უნდა გენახათ, როცა პირველად მოვედი აქ პირდაპირ ჩრდილოეთიდან! დღეს კი ყველაფერი საშინლად გამოცვლილა აქ, დიდი წინსვლა და წარმატება დასტყობია. იმის ფიქრით, რომ ამ მხარის წარმატებას მეც, ოდნავაც არის, ხელი შევუწეე, ჩემთვის ყველაზე მეტი ჯილდო იყო იმ შრომისათვის, რომელიც აქ ახალგაზრდობაში, ესე იგი, ჩემის სიცოცხლის საუკეთესო ხანაში, გავსწიე. მეგრელების შეხვედრა ახალსენაკის საღვურზე, მათი აღერის და დაპატივება ჩემთვის უკანასკნელი, სანუგეშო და მრავალმნიშვნელოვანი ხანაა, როცა კი მოვიგონებ მათს მშვენიერს სამშობლოს.

### სამეგრელოს წარსულიდან

ღვინობისთვე საქართველოს შავი ზღვის ნაპირის ნაწილში საუკეთესო დროა წლისა. ფოთოლი ხეებიდან ცვენას მაშინ იწყებს: მწვანე სამოსლით დაფარული მხარე შიშვლდება; მკვიდრთა ყველა მხარეს გაფანტული სახლები, რომელიც ზაფხულობით არც კი სწანს,

თავისებურის სიმშვენიერით თავს გამოჰყოფს და ხილული ხდება ხოლმე. მათს მახლობლად ადამიანს თვალწინ გადაეშლება გაჭრილი ყანები, საიდანაც მშრომელმა გლეხმა უხვად მოიწია სიმინდი, ღომი, პური. ცა მოწმენდილია, პაერი კი იმ ზომამდე გამჭვირვალე, რომ ადამიანის თვალს შორის მანძილიდან შეუძლია დაინახოს დაფარული მწვერვალები მთათა და მათზე გააჩრიოს სინათლე და ჩრდილი. პაერში მაცოცხლებელს, სულისნამდგმელს რასმე ჰგრძნობს ადამიანი, სითბო ზომიერია და მზე მხოლოდ შუადღისას გამოსტყორცნის ოდნავ, მსუბუქად მკებნარე სხივს და ამით-და მოგაგონებს წარსულ ზაფხულის მწვანე სიცხეებს.

მას აქვთ ბევრმა წელიწადმა განვლო, სახელდობრ 1882 წელს, სწორედ შემოდგომას, სამეგრელოს ფართე ვაკეზე, რომელსაც ოდიშს ეძახიან, მდინარე ტეხურისა აბაშას შუა, ორი ცხენოსანი ერთმეორეს პირდაპირ დადგა და ხმამაღლა ერთმანეთს მეგრულად გამოელაპარაკა!

— სწორედ გითხრა, ჩემო კოსტა, მუსტაშა უკეთესი იყო, მეგონა. დახე, როგორ მოეუტყუებოდათ იმ ფრანგს!.. ცოტა ხეირიანი რომ ყოფილიყო, ის კურდღელი როგორ უნდა გაეშვა? ძალი კი არა, კაცი ხელით დაიჭერდა, ისე ნელა მიბრბოდა.

— რასა ბრძანებთ, ბატონო! ფრანგულ მწვეარს სად შეუძლია ჩვენებური ყურდღელი დაიჭიროს! აკი მაშინათვე მოგახსენეთ — ასე იქნება-მეთქი.

— ღმერთი და რაც წმინდანებია, სულ ციდან ჩამოიყვანა, მეფიცებოდა — ასეთს მწვეარს მივლს დუნიაზე ვერ იპოვით!

— ესე იგი ასეთს გლახას, ხა, ხა, ხა!.. აბა ჩვენს მერცხლას უყურეთ, ბატონო, რა ჰქნას, როცა ყურდღელს გამოეკიდება; ფრანგის მწვეარს ზედაც არ შეხედავს, თქვენ არ მოუკვდეთ ჩემს თავს!

ერთი მოლაპარაკე ცხენოსანთაგანი ასე ორმოცდაათი წლისა იქნებოდა, ჩასუქებული, საკმაოდ მაღალი ტანისა, სახის მსხვილ ნაკვთებიანი, დიდი, შავი თვალები, კეხიანი ცხვირი, გრძელი ჭაღარა შერთული უღვაშები, ნაოჭებშეპარული შუბლი მის სახეს სიმშვიდის, დიდებულობის და გულკეთილობის გამომეტყველებას აძლევდა. თავთ ეხურა განიერკალთებიანი ნაბდის ქუდი. როცა მოიხიდა, გამოუნდა მელოტი თავი, რომელსაც ჭაღარაშერთული თმარგოლივით უვლიდა გარშემო. ტანთ ეცვა იისფერი ხვერდის კაბა, კვერნის ტყავამოკრული, კაბაზე ქაზარი ერტვა და ქაზარზე კიდევ ვერცხლით მოჭედილი სატყვარი კეიდა. კაბას ზემოდან შავი ჩოხა ეცვა. ჩოხის გულზე თეთრის ძვლის მასრები ჰქონდა გაკეთებული: თითბრის დღეებით შესაკრეული პატიკები ფეხთ ეცვა. ხოლო პატიკებზე ამოკრული ჰქონდა მოხამუხი.

ეს მხედარი იყო ბეკო საბახთარი, პირდაპირი შთამომავალი იმ საბახთარის, რომლის სტუმართმოყვარეობა ორასი წლის წინათ აღმოსავლეთის განთქმულმა მოგზაურმა ფრანგმა შარდენმა აღწერა. წმინდა სისხლის ყარაბაღულ ოქროსფერ ულაყზე იჯდა. მარცხენა ხელში თავადს ორი წკეპლა ეჭირა, თანმით ერთმანეთზე გადაბმული. ეს წკეპლა თოფის ზუმბა იყო. პატრონი ამ ზუმბას ხელიდან არ იშორებდა, რადგან ზუმბაც იყო და, როცა უნდოდა, წკეპლაც.

მეორე მხედარს, ასე ოცდაათი წლის თეთრგვრემანს ემაწვილს კაცს, მეტად ცოცხალის სახის პატრონს, უდალი სქელი ღართი ეცვა. გრუზა, გრძელი, ხუჭუჭა, ქვევიდან რველად შეკრეტილი თმა დაფარული ჰქონდა ფაფანაკით. ამნაირ მსუბუქ თავსახურავის ხმარება შეუძლია მხოლოდ ხშირ თმის პატრონს, რომელსაც კაცი სამხრეთის ძეთა შორის ხშირად შეხვდება.



# კოლხეთი — ჩვენი სამყაროს კარიბჭე

გთავაზობთ ნაწყვეტს აკადემიკოს  
კლიმენტი შვილიას წიგნიდან

**“იბერიად იწყება კოლხეთით,  
კოლხეთშია ქართული და  
მსოფლიო ცივილიზაციის სათავე”  
ლევან სანიკიძე**

ქვედა მესოპოტამიის სამხრეთით ბრინჯაოს ხანის საფუძველი ჩაეყარა ძველი წელთაღრიცხვის 2.800-2.700 წლებში. ბრინჯაო მიღებულია სპილენძისა და კალის შენადნობისაგან, რომელსაც შემოქმედებული ლექსიკონით “ნიმბარი” ეწოდება. ეს ტერმინიც ეკუთვნის ბანანურ ენაზე მოლაპარაკე ლაზ-მეგრელებს და ბრინჯაოს შენადნობის დამუშავების ტექნოლოგიაც ეკუთვნის ამ ხალხს.

ასევე, რკინის აღმოჩენის ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის. რკინის გადამუშავების ტექნიკური პროცესი გასაუდუმლოებული იყო ძვ. წელადრ. II ათასწლეულის ბოლომდე. რკინის აღმოჩენა და დამუშავება ხდება შავი ზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ქალაქ ტრაპიზონის მიმდებარე ტერიტორიაზე – ფარნაკიაში. ამ ხალხს ადრე შექმნილი ჰქონდა ლითონის, ოქროს, ვერცხლის დამუშავების ტექნოლოგია და სხვა დიდძალი შენელოვანი საკაცობრივი საქმეები. სტრაბონის თქმით, ხალხები – ხალიბები უფრო ადრე მეგრელებად მოიხსენიებოდნენ. სწორედ ამ ხალხებმა შექმნეს შუმერის ცივილიზაციისათვის საჭირო ნიადაგი და თვით შუმერის ცივილიზაცია.

ბანანის ენაზე მოლაპარაკე მეგრელებს ვრცელი ტერიტორიები ეკავათ ქვედა მესოპოტამიის სამხრეთსა და ჩრდილოეთში, მესოპოტამიის აღმოსავლეთში, შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთში, ტიგროსისა და ეფრატის სათავეებში, ვანისა და ურმის ტბების მიდამოებში. ამ ხალხს “საკაცობრიო მნიშვნელობის ცოდნა რამდენიმე ათასწლეულის სიღრმიდან მოჰყვებოდა... დღეს მეცნიერების მიერ დადგენილია ყველა ხანა, ქვის ხანის გარდა, შექმნილი ყოფილა ბანანური ენის მატარებლის ნამოღვაწარის საფუძველზე”, – წერს ბ. სოფია (ბადა (ნეგუსი) სოფია, ლაზ-მეგრელობა... გვ.199).

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ილოსი (ილიოსი) იყო დარდანოსისა და ტეკეროსის შვილის შვილი, პარფიციკალია უწოდებოდა. პომპროსი მას ტროსისა და სკამანდროსის ქალიშვილ კალიროეს ვაჟად მიიჩნევს. ასევე, პომპროსის “ოღისეაში” მითითებული აქვს, რომ კორინთოს (ეფირეს) მფლობელი ილიოსი მერმეროსის ძე იყო, რომელიც მედეას შვილის შვილია, მერმეროსი კი მედეას შვილს ერქვა. მას (ილიოსმა) ფრიგიაში გაიმარჯვა ათლეტურ თამაშობა-შეჯიბრებაში და სანუქრად მიიღო 50 ვაჟი და 50 ქალიშვილი. ამასთანავე, ილოსს გადასცეს ჭრელი ძროხა. ილოსს იმ ადგილზე, სადაც ეს ძროხა დაწვებოდა, ქალაქი უნდა გაეშენებინა დიდხანს სდია ილოსმა ძროხას ფეხდაფეხ. ბოლოს, მცირე აზიაში, ერთ-ერთი ბორცვის ძირას ძროხა დაწვა. ილოსმა ამ ადგილზე ააშენა ქალაქი და სახელად ილიოსი, იგივე ტროა უწოდა.

მითება შეიძლება გააჩნდეს რეალური საფუძველიც, – წერს “მითოლოგიური ლექსიკონის” ცნობილი ავტორი ნ. გაფრინდაშვილი და აგრძელებს: ან შეიძლება ერთგვარი ფანტაზიით იყო შექმნილი, მაგრამ რაღაც ისტორიული წყაროს, რაღაც საფუძვლის გარეშე, ერთგვარ რეალურ მასალაზე დაყრდნობის გარეშე, ცარიელ ადგილზე მითი თითქმის არ იქმნება.

ამრიგად, ეპირის მბრძანებლის ვაჟი ილოსის დასახლება და კოლხეთის მეფის ასულის – მედეას შვილის შვილი იყო ქალაქ ტროას (ილიოსის) დამაარსებელ-მშენებელი.

გრძნობილი მედეას (იგულისხმება ექიმი) შვილიშვილი ილოსმა ბებისგან იცოდა სასიკვდილო შხამების დამზადების საიდუმლო. ამასთან მისული ოღისევის თხოვლობდა იარაღებისათვის შხამის დამზადებას. მაშასადამე, ილოსთან შემთხვევით არ მიღის ოღისევის “მამაც-თრაა შემუსვრელი შხამისათვის”, რომელიც უნდა წავსვა ისრის წვერზე. ე.ი. ილოსმა

მემკვიდრეობით იცის წამლის დამზადების ხელოვნება, მაგრამ გამოიჩინა დიდი კეთილშობილება, ღმერთების მოშიშობა და ასეთი წამლის დამზადებაზე უარი უთხრა. (ნოდარ გაფრინდაშვილი, მითოლოგიური ლექსიკონი, რედაქტორი აკ. ურუშაძე. თბ. 1972 წელი, გვ. 139). მედეას თავისი ორი ვაჟი შვილი კი არ მოუკლავს, არამედ ღირსეულ ადამიანებად გაუზრდია. აპოლონიოს როდოსელი შვილების დახორციელებას იმეორებდა, რომ გაემართლებინა ბერძენი (ჰელაზი) იასონი ოჯახის დაშლისა და მედეასთან განქორწინების გამო (ეგვიპიდე მოსყიდული იყო).

რადგან ბერძნული მითი წინ უსწრებს ტროასა და თებეს ელინურ თქმულებებს, ჩანს, შექმნილია ძვ. წ.დ. II ათასწლეულის I ნახევარში, რომელიც აღწერილია ძვ. წ.დ. XIV საუკუნის (34 საუკუნის წინანდელი) კოლხეთის მდგომარეობა. თქმულება “ოქროს საწმისი” შესახებ – ვერძის ოქროს მატყლიანი ტყავი ჩამოკიდებული იყო მდინარე ფაზისის (დღევანდელი რიონის) ნაპირთან, არცის ველზე. ჰქმნიდა ჭალაში – ლაპარაკია კირბებზე (კვირბი – წიგნები), რომლებშიც საკანონმდებლო, რელიგიური, კარტოგრაფიული, მხატვრული შინაარსის ტექსტები, წიგნები – მრავალი ცნობარი და დიდი ცოდნა იყო თავმოყრილი. მედეამ საბერძნეთში “ნებაყოფლობით” წაიღო მამის, კოლხთა აიას მეფის პელოისის ძე აიეტის, სპილენძის სამისრო ყუთიც, რომელშიც უძველესი კოლხური წარწერები, მეცნიერული აღმოჩენები და მიღწევები, გამოკვლევები, მასალები იყო შენახული.

3.500-3.300 წლის წინ არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის მარტოობა ასეთია: ეგვიპტის ზღვის კუნძულებიდან – კუნძული ეგება, იოლოკოსი, დარდანელის სრუტე, მარმარილოს (პროპონტიდის) ზღვა, მდინარე ფაზისი (რიონი), “ნავსადგური სუჯუნა”, მიმდებარე სოფლები ნორიო, წყვი, გუჯეთი და ბოლო პუნქტი, სადაც “არგონავტები” დასახლდნენ, კოლხეთის დედაქალაქი “აიაია”.

საინტერესოა: ფაზისთან არგონავტების მითის მიხედვით ოქროსმატყლიანმა ვერძმა ფრიკსე მოიყვანა აიაში ანუ კოლხეთში, რომლის მეფემ პელოისის ძე აიეტმა შეიფარა ის და ცოლად შეირთო მისი უფროსი ქალიშვილი ქალიკოპე. ვერძი ღმერთს შესწირეს, ხოლო მისი ოქროსმატყლიანი ტყავი – ოქროს საწმისი მდინარე ფაზისის ნაპირას არცის ჭალაში დიდ მუხაზე ჩამოკიდეს.

იოლოკოსის (თესალიის) მეფემ თავის ძმისწულს, იასონს სამეკვიდრეო ტახტის მისაღებად აია-კოლხეთში გაზზავრება და ოქროს საწმისის ჩამოტანა დაავალა. იასონმა ააგო ორმოცდაათხოფიანი ხომალდი “არგო” და ელადალი ვაჟაკაცებით პონტის ეკსპედიციისაკენ (“შავი ზღვისაკენ”) გამოემგზავრნენ.

ოქროს საწმისის სანაცვლოდ აიეტმა იასონს რთული დავალების შესრულება მოსთხოვა. აიეტის გრძნული ასულის, უმშენებლური მედეას დახმარებით, რომელსაც შეუყვარდა ელადალი ჭაბუკი, მან ადვილად შეასრულა აიეტის დავალებები, წაიღო ოქროს საწმისი და მედეაც წაიყვანა. შემდეგში იასონმა უდალბა მედეას, შეერთო კორინთოს მეფის ასული, ხოლო იასონისაგან შექმნილი თავისი ორი შვილი მედეამ ჰერას ტაძარში დამალა. ასეთია თქმულების უძველესი ვერსია.

პროფესორი აკაკი ურუშაძე მიუთითებს, რომ “ანტიკური ხანის ბერძენ ავტორებს ეგვიპტე არ ეკარებოდათ თქმულების სინამდვილეში და მის აღმოცენების მიზეზებს ისტორიულ-სოციალურ ასპექტებში ეძებდნენ... ძიებათა შედეგად არგონავტების მითში მეცნიერებისათვის საყურადღებო და სინამდვილის ამსახველი მრავალი ფაქტი დადასტურდა” – წერს აკაკი ურუშაძე (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 2, გვ. 557). არგონავტების თქმულება ანტიკური ხანის მწერლობის მუდმივი ძიებისა და განხილვის საგანად იქცა: პომპროსის “ილიადა” და “ოღისეა”, პინდარეს “IV პითიური ეპინიკი”, ეგვიპტის “მედეა”, როდოსელის “არგონავტიკა”, რომლებშიც გადმოცემულია ცნობები ქართულ (კოლხურ) ტომთა ეთნოგენეზისაზე, მათი დიდ, ვრცელ ტერიტორიაზე გასვრელების, ცხოვრების პირობების, პანთეონის და სხვათა შესახებ;

ასევე სხვა წერილობით წყაროებში ძირფასი მასალაა დაცული კოლხეთის ანუ აიას დიდების, ბრწყინვალეების შესახებ (იქვე).

საინტერესოა ფაზისთან ახლოს სად მდებარეობდა არცის ველი და წმინდა ჭალა, რა კავშირი აქვს ღვთისმშობლის ღვთის კირკეს სახელს არცის ველთან და წმინდა ჭალასთან?

არცის ველი და წმინდა ჭალა მედებარეობდა მდინარე არაქსუს (აბაშის) ნაპირზე, თითქმის მდინარე აბაშის შესართავამდე (მარტვილის რაიონი) და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, კოლხეთის დაბლობის ბოლოს, მდინარე ტეხურის ხეობასთან – უნაგირას მთის ფერდობზე, დღევანდელ ნაქალაქართან (სენაკის რაიონი), სადაც შემორჩენილია აღნიშნული თარიღზე დიდი ხნით ადრე აშენებული კოლხეთის სამეფოს ქალაქ აიაიას დიდი გალავანი, უნაგირას სამეფო სასახლეების ნანგრევები, სამეფო აბანო, ვიკრიბი და სხვა შენობების ნაშთები. ეს, ჩანს, რომ კოლხეთის (ეგრისის) ქალაქ-სახელმწიფოსა და მთელი კოლხეთის (ეგრისის) უძველესი დედაქალაქია. მცხოვრებლებს, რომელთა სახელმწიფო იყო უბრწყინვალესი, უძველესად მიანდდათ და მსგავსი არ ეგულებოდათ. უწოდეს “აიაია” – “აიას” წინ დაურთეს დიდების დამახასიათებელი სახელი. ნოქალაქევის (ნაქალაქარის) გრანდიოზულ ნაგებობათა შემორჩენილი ნაშთების მსგავსი უნიკალური ძეგლი, ალბათ, მეორე არ მთიპოვება საქართველოში და სხვაგანაც. ის უძველესი ხელოვნების მსოფლიო მნიშვნელობის ნიმუშია. “აია”-ს (არხაიო პოლისი, ნაქალაქევი) სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს გარშემოვლებულია ორი მეტრის სიგანის და რვა მეტრის სიმაღლის გალავანი. ქალაქი აიეტის აშენებულია. აპოლონიოს როდოსელი თავის პოემაში წერს: “ვაჟაკაცი სასახლის შესასვლელთან გაჩერდნენ, ისინი გააოცა მეფის სასახლის გალავანმა და ფართო ჭიშკარმა”.

ფაზისის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე მდებარე ველს, რომელსაც “ანჯელას” ეძახიან, 3.500-3.300 წლის წინ კირკეს ველი ერქვა. ამ ველს ღვთისმშობლის დედას კირკეს-კირკეონის ველს უწოდებდნენ. არცის ველს რომაელებმა თავიანთი ომის მფარველი ღმერთის მარსის სახელი უწოდეს (ამბროსი კილასონია, ძველი კოლხური... გვ. 75-76).

აკადემიკოს გრიგოლ გიორგაძის აზრით, ვერძის ტყავი ისეთი სახეობაა, რომელზედაც დამოკიდებული იყო ქვეყნის კეთილდღეობა. აია-კოლხეთში არსებული ოქროს საწმისის გატანისადმი აიეტის წინააღმდეგობა ნაკარნახევი იყო იმით, რომ ეს გაუტოლდებოდა ვინმეზე სამეფო ხელისუფლების დათმობას (ციხო ჭედიძე, მითითებული ნაშრომიდან, გვ.99). ყველაფერი ეს, გ. გიორგაძის მიხედვით, ხდება მეორე ათასწლეულში, ანატოლიის ჩრდილოეთით და ცენტრალურ ტერიტორიაზე – ქართველთა ტომთა უძველესი განსახლების არეალში, სადაც ცხოვრობდნენ ხეთები და მეგრულ-ჭანური ტომები.

არგონავტებმა კოლხეთიდან გაიტაცეს “ოქროს საწმისი”, რომელიც ნიშნავს ოღნას მეტალურგიისა და მეცნიერების სხვა დარგების შესახებ. როგორც ითქვა, ოქროს, რკინის, ფოლადის მოპოვება-დამუშავების გამოგონებლად ხალიდებს (იგივე ხალიბები) მიიჩნევენ. ცნობილია, რომ ფოლადს ბერძნულად ხალიფი ექვია. ასევე ბერძნებმა საქართველოდან წაიღეს ცოდნა მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ.

მეკვლევარ-ისტორიკოსი სიმონ მასხარაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ “ბერძენმა არგონავტებმა ქართველ ერს მოსტაცეს რკინა-ფოლადის, ღვინისა და პურის საიდუმლო”. ხორბლის სამშობლოდაც საქართველო ითვლებოდა.

ცნობილია, რომ ებრაელებმა პრეტენზია წაუყენეს გერმანიას იმ უდიდესი დანაშაულისათვის, რაც ფაშისმმა მიაცუნა ებრაელ ხალხს და მითხოვეს დიდძალი თანხა გადაუხადონ; ასეთ პრეტენზიას აცხადებდა ჩინეთიც იაპონიის მიმართ. იმ სიმდიდრეებისა და აღმოჩენებისათვის, რომლებიც ბერძნებმა

გაიტანეს საქართველოდან (კოლხეთიდან) და რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მსოფლიო მეცნიერების განვითარებას, სვიმონ მასხარაშვილი სამართლიანად ამბობს: “ის თანხა, რომელიც მთელმა მსოფლიომ უნდა გადაუხადოს საქართველოს, ალბათ, არითმეტიკისთვისაც კი მიუწევდომელია!”

ჩვენი პლანეტის ისტორიაში კოლხმა მედეამ დაულო საფუძველი მედიცინას, როგორც მეცნიერებას. მედიცინა ქართველი ერის წიაღში წარმოიშვა. ამ მეცნიერების საფუძველები კოლხეთიდან გაიტაცეს ბერძნებმა.

რაც შეეხება პირველ ფულის ნიშანს – მონეტას, კოლხეთიდან (საქართველოდან) იღებს სათავეს. მონეტა პირველად ფრიგიის ტერიტორიაზე (იქ, სადაც ილოსმა დიდი გამარჯვება მოიპოვა ათლეტურ თამაშებში) აღმოაჩინეს ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში. ფრიგიაში მაშინ მუშაობდა, ანუ მესხები დომინირებდნენ. “კოლხური თეთრი” კი განეკუთვნება ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეს. ამ დროიდან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, პირველი მონეტა შეიქმნა საბერძნეთსა და სპარსეთში, ხოლო რომის იმპერიაში ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში.

ერთხელ კიდევ აღვნიშნავთ: ის უდიდესი მეცნიერული მიღწევები, რომელიც “ოქროს საწმისში”, აიეტის კოლხურ ყუთში იყო – კერძოდ, ცოდნა მეტალურგიაში (ოქროს, სპილენძის, ფოლადის გადამუშავება), ასევე ცოდნა მევენახეობის, მეღვინეობის, სელის წარმოებისა და ხორბლის დამუშავების დარგში, სამეცნიერო მედიცინის საფუძველები, ერთ-ერთი პირველი ფულის ნიშნები (მონეტები), – მსოფლიოში კოლხეთიდან – (საქართველოდან) გავრცელდა და ყველაფერი ეს მსოფლიოს შემდგომი განვითარების საშუალება, წყარო გახდა. კოლხები იყვნენ პირველი გამომშენებლები, კარტოგრაფები, შექმნეს პირველი კირბები.

მკურნალობის ხელოვნებას მედეას სახელის მიხედვით, მისი სახელის უკვდავსაყოფად მედიცინა უწოდეს. როგორც ჩანს, ბერძენი მიმოხილვებები წერდნენ, რომ ბერძნული მედეა ავადმყოფებს “ხარშადა” (დღევანდელი სენაკის ახლოს, მანჯში არის სამკურნალო თბილი წყლები და უთუოდ ის იგულისხმება – დღევანდელი კურორტი მენჯი) და მკურნალობდა – არჩენდა ავადმყოფებს.

აგნი იოვას ქართველი სპეციალისტი თამაზ თავაძე მიუთითებს, რომ ის, რასაც დღეს ტიბეტში იოვით მკურნალობენ, მედეას დროიდან – კოლხეთიდან არის გადასული, რომ “იოვა” ქართული სიტყვაა, ხოლო იოვას ხელოვნებას ბევრად უფრო ადრე ფლობდნენ კოლხეთში, ვიდრე მისი ოსტატობით დღეს ასე განთქმულ აღმოსავლეთში. “ყველა მაკავშირებელს სხუელში ქართველებმა იოვები დაარქვეს. მე ვამტკიცებ, რომ კოლხი მედეა იოვის უმაღლესი საიდუმლო ფლობდა... მედეა აგნი იოვას კი არა, ადამიანის ფიზიკური, მორალური და სულიერი ძალების მართვის საიდუმლოს ფლობდა”, – წერს თამაზ თავაძე (“რა მოიტაცეს ბერძენმა კოლხეთიდან”, გაზეთი “ეპირის პატივგრა”, 2004 წელი, 6-12 დეკემბერი, გვ.27, თამაზ თავაძის ინტერვიუ ეკა ლომიძესთან).

თამაზ თავაძეს მოჰყავს ასეთი მაგალითი: “ცნობილი გერონტოლოგი მალხაზ აბულაშვილი მიმიღო დაავადებულია, ხსნა ვერსად უპოვია, ტიბეტში წასულა, იქ მოურჩენიათ. უთქვამს, საქართველოდან ვართ. ვერაფერი გაუგიათ, სად იყო საქართველო. კოლხეთი უხსენებია მალხაზს და გაცხებულან, კოლხეთიდან აქ რატომ ჩამოხვედით, ჩვენ დღემდე ვსწავლობთ კოლხურ მედიცინას და ჯერაც ვერ ჩავწვდომივართ მის საიდუმლოს”. შემდეგ თამაზ თავაძე აგრძელებს: “იოვას ხელოვნების საიდუმლო ინახებოდა “ოქროს საწმისში”, რომლის მოტაცებაც მხოლოდ მედეას საშუალებით შესძლებს ბერძნებმა და ამის შემდეგ გაბრწყინდა ძველი საბერძნეთი. “ოქროს საწმისის” სრულად შეცნობა დიდ სამსახურს გაუწიეს ჯარისკაცებს, ალბინისტებს, მეზღვაურებს, მეზახტეებს – ნებისმიერ გამოუვალ სიტუაციაში ასწავლის, როგორ აიტანონ უწყლობა და სხვა რამ” (იქვე).



# სამი ბედი ერთი გადმოსახედიდან

საოცრად ემთხვევა ერთმანეთს ამ სამი ადამიანის ცხოვრებისეული გზა და ბედი, მიუხედავად იმისა, რომ ერთი მათგანი თითქმის ასი წლით ადრე მოვევლინა ქვეყანას იმ ორთან შედარებით. “მდინარეები ფეხადგმული გზებია, რომლებიც მიდიან და ჩვენც მიგვაქანებენ შეუცნობი სამყაროსაკენ” – უთქვამს დიდ ფრანგ ფილოსოფოსსა და მოაზროვნეს ბლეზ პასკალს. სწორედ ამ მაგიურ სიტყვებში იმალება ყოველივე სულდგმულის ცხოვრების უმარტივესი ფორმულა – დაბადება, სიცოცხლე, გარდაცვალება...

დანარჩენი, თვით ყველაზე შთამბეჭდავი გარდაქმნები და მასთან დაკავშირებული მოვლენები სრული ამოცანაა, ქარსა და წვიმას გატანებული განცდები. ალბათ ამიტომაც ემსგავსებიან ადამიანები ერთმანეთს, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, რომელთაც საზოგადოება “გენიოსებად” ნათლავს. დღეს სწორედ სამ ამგვარ გამონაკლისზე უნდა გესაუბროთ. ეს გამონაკლისები ნაპოლეონი, სტალინი და პიტლერი...

**ნაპოლეონ ბონაპარტე 1769 წელს** დაიბადა და 15 წლის გახლდათ, როცა 1884 წელს პარიზის სამხედრო სკოლაში შეიტანა საბუთები. როცა მან კურსდამთავრებულის ატესტატი მიიღო, მოხდა ისეთი რამ, რაც არასოდეს არც მანამდე და არც შემდგომ, არ მომხდარა საფრანგეთის საგანმანათლებლო სფეროში – მის ატესტატს სკოლის დირექტორმა პირადად წააწერა: “დაიხსომეთ, ეს ყმაწვილი დიდი სახელმწიფო მოღვაწე გახდება...” (იგი არ იყო ფრანგი, იგი კორსიკელი გახლდათ).

იოსებ სტალინი 1879 წელს დაიბადა და ისიც 15 წლის იყო, როცა გაზეთ “ივერიის” რედაქტორ-გამომცემელს ილია ჭავჭავაძეს, “სოსელის” ფსევდონიმით მიუტანა საკუთარი ლექსი. ილია, როგორც ცნობილია, დიდად არ წყალობდა დამწვებ პოეტებს, მაგრამ როცა ლექსი წაიკითხა, დამორცხვებულ ყმაწვილს თავზე ხელი გადაუსვა, გაზეთის თანამშრომლები თავისთან იხმო და განუცხადა: “დაიხსომეთ, ეს ყმაწვილი ან დიდი პედაგოგი გახდება, ან დიდი სახელმწიფო მოღვაწე...” აი, ეს ლექსი:

“გარდს გაეფურჩქნა კოკორი  
გადახვეოდა იასა,  
ზამბახსაც გადვიძებოდა,  
და თავს უხრიდა ნიავსა,  
ტოროლა, მალღა ღრუბლებში,  
ტიავ-ტიავით გალობდა,  
ბულბულიც გახარებული,  
ნახის ხმით ამას ამობდა:  
იდიღე ჩემო ქვეყანავ,  
ილხინე ივერთ მხარეო,  
და შენ ქართველო, სწავლითა  
სამშობლო გაახარეო!”

ზუსტად 15 წლის გახლდათ 1894 წელს (ალბათ დევიური ბეჭედი აქვს დართული და რაღაც საკრალური მნიშვნელობა აქვს ამ ციფრს) აესტრიის ერთ-ერთი პროვინციის მკვიდრი ადოლფ შიკლერბერი, არც თუ ბედნიერი და უზრუნველი

ცხოვრების მქონე ბავშვი, რომელსაც ღმერთმა მხატვრობის ნიჭი დაანათლა, მაგრამ სამშობლოში თავის მომავალს ვერა და ვერ მიაკვლია და გერმანიაში, კერძოდ, ბაგარიაში გაემგზავრა ბედის საძიებლად... (იგი არ იყო გერმანელი, იგი აესტრიელი გახლდათ).

(დადგება დრო, და ქალაქის სიდიდით შემკრთალი მორიდებული კორსიკელი პროვინციელი ყმაწვილი არა მხოლოდ საფრანგეთს, არამედ მთელ ევროპას შეცვლის, მოვა დრო და ავსტრიელი ბავშვი მსოფლიოს შეცვლას დაიწყებს, მაგრამ არ დასცალდება და დიდი სამამულო იმის შემდეგ მსოფლიოს გეოპოლიტიკურ რუქას ძირფესვიანად გადააკერავს ქართველი ყმაწვილი. თუმცა, ამაზე მოგვიანებით...)

ასე იწყებოდა მათი ცხოვრება, იწყებოდა შეუმჩნეველად, ჩუმად, მოკრძალებულად და მაშინ არავინ უწყოდა, რომ ისინი მკაფიო კვალს დაამჩნევდნენ უკვე მრავალი კაცთმკვლელი ომებითა და ჩაგვრა-დამონებით გადაღლილ ბებერ დედამიწას. ადოლფ პიტლერის ატესტატზე მაშინ არავის წაუწერია “ეს ყმაწვილი დიდი სახელმწიფო მოღვაწე გახდება...”, მაგრამ...

მაგრამ უკვე პიტლერის თანატოლები და უფროსი მეგობრებიც გრძობდნენ, რომ მათ გვერდით, ადოლფის სახით, ყალიბდებოდა ძლიერი და მიზანდასახული პიროვნება, რომელსაც ფანატიურად უყვარდა პირველი მსოფლიო ომიდან დამარცხებულად გამოსული გერმანია და პირად შეურაცხყოფად მიანდა სამშობლოს ყოველი წარუმატებლობა...

მე-18 საუკუნის დასასრულს საფრანგეთს რევოლუციები არყვავდა. ინგეროდა ძველი, მაგრამ ახლის ამ შენებელი ჯერ არსად ჩანდა. დანერგა ბასტილია, ჩამოიშალა სამეფო კარი, რყევები კი კვლავაც გრძელდებოდა – ქვეყანა უფსკრულისაკენ მიჰყავდა გაუთავებელ რევოლუციას. თითქოს ღმერთის ხელი მართავს ამგვარ პროცესებსო – ქვეყანას მესია მაშინ უნდა მოვევლინოს, როცა მის საბოლოოდ განადგურებამდე წამები რჩება. სწორედ ასე მოხდა საფრანგეთში, როცა ხანგრძლივ ომებში გაწვრთნილ-გამოჯექილი ნაპოლეონი პარიზში ძღვევამოსილად დაბრუნდა, მუდმივი დაპირისპირებებით დაუძღვრებულ-დაუსუტებული საფრანგეთის დირექტორია ფეხის ერთი წაკვრით მიაგლო კუთხეში და სახელმწიფოს პირველი პირი გახდა, შემდეგ კი იმპერატორად ეკურთხა.

სწორედ აქედან იწყება საფრანგეთის აღორძინება და მისი დიდი ისტორია, რაც მალე შეცვლის არა მხოლოდ ევროპულ სამყაროს. კორსიკელმა ლეიტენანტმა კიდევე ერთხელ, სულ სხვაგვარად შემოატრიალა მსოფლიო ისტორია.

ნაპოლეონ ბონაპარტეს უპირველესი და ყველაზე დიდი დამსახურება გახლდათ რომის პაპის ძლიერების დამხობა, რომლის პირადი წახალისებთაც შუა საკუნეების მთელ ევროპაში ინკვიზიცია სასტიკად მძინვარებდა და ათიათასობით უდანაშაულო ადამიანმა დაასრულა სიცოცხლე კოცონზე... ხდებოდა გაუგონარი ანგარიშსწორებებიც – ესპანეთის ერთ-ერთ სოფელში მამამ ჩათვალა, რომ მისი საკუთარი შვილი ეშმაკისეული იყო, მიაბა ბოძზე, ფინხი შემოუწყო და ცოცხლად დაწვა. სწორედ ამგვარ საშინელებებს მოულოდნლო იმპერატორმა ნაპოლეონმა.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ნაპოლეონს თავი კოლხების შთამომავლად მიანდა, რისი დასტურიც გახლავთ ის, რომ მან პირად დაცვის უფროსად აიყვანა ქართველი მამულევი,

ეგვიპტის ომში ტყვედ აყვანილი რუსტამ რაზმაძე, რომლის დანიშნაც მოგვიანებით საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრადაც კი სურდა, მაგრამ გადაიფიქრა იმიტომ, რომ რუსტამს მუდმივად მის გვერდით სურდა ყოფნა. მას სწორად უთქვამს რუსტამისათვის, ჩვენ ერთი ერის შთამომავლები ვართო. ქართველს ასე ბრმად მიხდობილ დიდ მხედარმთავარს ბედისწერად კვლავ ქართველი ექცა – ბოროდინის ბრძოლებში მის წინააღმდეგ აღიმართა ქართველი გენერალი პეტრე ბაგრატიონი. მართალია, საბოლოო ჯამში, ნაპოლეონმა ბოროდინის ბრძოლა მოიგო, მაგრამ იგი იმდენად დაასუსტა ძლიერმა ხმალთაკეთებამ, რომ უკვე ვეღარ შესძლო გამარჯვების შენარჩუნება, დიდი სისხლისღვრის ფასად აღებული მოსკოვი დათმო, საკუთარი დამშეული და შეცინებული ჯარი მიატოვა და დამარცხებული დაუბრუნდა საფრანგეთს, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ნაპოლეონის დიდების მზე სამუდამოდ ჩაესვენა. იგი გადაასახლეს და რამდენიმე წელიწადში გარდაიცვალა ფრიად საეჭვო ვითარებაში.

სწორედ ნაპოლეონ ბონაპარტეს ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: “დამიჯერეთ, არასოდეს ეომოთ რუსეთს, რადგან ამ ვეებერთელა ქვეყნის დამარცხება, მრავალ მიზეზთა გამო, პრაქტიკულად შეუძლებელია...”

ასევე ბედისწერად ექცა ქართველი ადამიანი დიდი გერმანელ მხედართმთავარსა და პოლიტიკურ მოღვაწეს ადოლფ პიტლერს. გერმანელი ხალხის ფიურერმა ძალიან კარგად იცოდა სტალინის გენიალურობა და მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ შეუთვალა: “კატეგორიულად ბავრთხილვებ, საბჭოთა კავშირს ახლავთ თავი დაანებეთ, საქართველოში დაბრუნდით და პირობას ბაძლევ, რომ შენი სიცოცხლის ბოლომდე ბედნიერად იმეფებო!”

მაგრამ სტალინს თავი რუსეთის პირმშოდ მიანდა და პასუხად შეუთვალა პიტლერს: “მართალია, მე ეროვნებით ქართველი ვარ, მაგრამ რუსეთმა აღმზარდა და საძრახის საქმედ მიმანინა, რომ განსაცდელის ჟამს აღზრდილმა აღმზრდელი მიატოვოს”.

აქაც ქართველმა კაცმა შესძლო ის, რასაც ერთად აღებული მთელი მსოფლიო ვერ ახერხებდა – დაამარცხა და საბოლოოდ გაანადგურა ფაშიზმი. თუმცა, დღემდე არ არის გარკვეული, პიტლერმა ნამდვივად მოიკლა თავი ბუნკერში ევა ბრაუნთან და საკუთარ ნაგაზ “ბლონდისთან” ერთად, თუ გამარჯვებულებს საკუთარი ორეული შეანჩა, თავად კი გაქცევით უშველა თავს...

მართლაც უცნაურია ბედისწერა – სიკვდილის შემდგომი სიცოცხლედ განსხვავებული ჰქონდათ ამ დიდ ადამიანებს:

– იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტეს სიკვდილს სულმოუთქმელად ელოდა მთელი საფრანგეთი, რათა ამდენი წარუმატებლობის შემდეგ შემდეგ იგი გაემდერებინათ. დღეს, ნაპოლეონის საფლავზე მისვლის მსურველმა ადამიანმა ქედი უნდა მოიხაროს და ისე მიეახლოს ამ დიდი ადამიანის საძვალეს. განა შესაქები არ არის ფრანგი ერი, რომელმაც ასეთი დიდი პატივი მიაგო თავის პირმშოს, რომელიც ეროვნებით ფრანგი არ იყო...

– ქართველი კაცის გენიალური პოლიტიკური წიაღსვლების შედეგად მთელი მსოფლიოს მიერ მოქულებული ადოლფ პიტლერის სიკვდილს

სულმოუთქმელად ელოდა სამყარო, რადგან თვლიდნენ, რომ მისი სიკვდილი მხოლოდ სტალინს დამარცხება გახლდათ. მეოცე საუკუნის ამ ერთ-ერთ უნიჭიერეს პიროვნებას საფლავიც კი არ ღირსებია (ალბათ იმის შიშით, რომ ეს ადგილი ფანტიკოს მამულიშვილთა მიერ ჰიტლერისადმი თავყანისცემის წმინდა ადგილად არ ქცეულიყო). მორაული ხმების მიხედვით პიტლერი დაწვეს და მისი ფერფლი ბალტიის ზღვაში მიმოფანტეს...

– იოსებ სტალინის სიკვდილს მოუთმენლად ელოდა მთელი საბჭოთა კავშირის კომპარტიის პოლიტიბიურო, რათა ლაფში ამოეთხვარათ მისი სახელი, თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველასათვის ნათელი გახდა, თუ როგორი ძლიერი პიროვნება დაჰკარგა არა მხოლოდ მსოფლიოს კომუნისტურმა სამყარომ. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, სტალინის საფლავზე დახვავებული შურისა და ღვარძლის ნაგავი დროის ქარაშოტმა გაფანტა და დღეს, შეიძლება ითქვას, რომ მისი დიდება აღდგენილია, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა სხვა ქვეყანაში, გარდა საქართველოსი, სადაც ვიდაც უჯიშო უღღურები და არამად ნაშოენი დიდი ფულით გონებად-აბინდული მედროვე ვაი-პოლიტიკოსები მისი მშობელი ქალაქ გორიდანაც კი იოსებ სტალინის ძეგლის აღებას მოითხოვენ...

უკვე მესამოცე წელი გადის, რაც მსოფლიოს არ ღირსებია გენიალური სტრატეგოსი და პოლიტიკური მოღვაწე. უძლიერეს ქვეყნებსაც კი მდარე აზროვნებისა და სულისკვეთების მქონე ჩინოვნიკები მართავენ, რაც თვალნათლივ ატყვია კიდევ მძიმე დაღად მთელი მსოფლიოს ყოფას.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ნანატრი გენოსი მალე გამოჩნდება და საკუთარ ხელს დაამჩნევს ჩვენს სოლომ-გომორულ ცოდვამოძალებულ სამყაროს...

**რ. შალამბერიძე**

იოსებ სტალინისა და ადოლფ პიტლერის სახეები შესანიშნავად ასახა თავის ერთ-ერთ ლექსში დიდმა ქართველმა პოეტმა შოთა ნიშინიანიძემ, რომელსაც ვთავაზობთ ჩვენ მკითხველებს:

## ბედი

ჯერ სანამ, სანამ მილიონებს ტყვია მოცელავს,  
ჯერ სანამ, სანამ საფლავები ამოიკუნესებს,  
“გარდს გაეფურჩქნა კოკორი” და ბიჭი სოსელიო  
ერთად არბიან გორის ციხეზე.  
ჯერ სანამ, სანამ ევროპის ცას კვამლი დაბინდავს,  
ჯერ სანამ, სანამ ყველა გზაზე ჯავრი გაწვება,  
ჯერ სანამ, სანამ “მაინ კამფიდან” გადმოცვივიან სტრიქონები ჯარისკაცებად,  
სადღაც ტყისპირად ფუნჯს აწვალებს ნორჩი მხატვარი,  
მზე ჩადის ტბაში...  
და ნისლები სხედან გედებად...

.....  
გავა ჟამი და გააგრძელებს ეშმა ართვალი მგოსნის და მხატვრის ამ უცოდველ შემოქმედებას...



გაზეთი "ილორი" უკვე რეგულარულად გამოდის "საქართველოს საფეხბურთო კლუბი" გაზეთი "ილორი" უკვე რეგულარულად გამოდის "საქართველოს საფეხბურთო კლუბი"

### მსოფლიოს საუკეთესო საფეხბურთო კლუბები "რეალი", მადრიდი, ესპანეთი

დაარსებულია 1902 წელს.  
სტადიონი: სანტიაგო ბერნაბეუ,  
105 ათასი მაყურებელი;  
ესპანეთის 28-გზის ჩემპიონი;  
17-ჯერ დაუფულა ესპანეთის თასს;  
საკონტინენტთაშორისო თასის  
მფლობელი 1966 და 1968 წლებში;  
ჩემპიონთა თასის მფლობელი 1956, 1957,  
1958, 1959, 1960, 1966 და 1998 წლებში;  
უეფას თასის მფლობელი 1985 და 1986  
წლებში.

გარდა იმისა, რაც უკვე ითქვა დღემდე, ესპანეთის სახელგანთქმულ საფეხბურთო კლუბ მადრიდის "რეალის" თაობაზე ახალსა და ორიგინალურს ბევრს ვერაფერს იტყვი. იგი რვაჯერ გახდა ჩემპიონი ევროპის საკლუბო გუნდებს შორის, 28-ჯერ კი ესპანეთის ჩემპიონობა მოიპოვა. ორივე ეს მაჩვენებელი დღემდე სარეკორდოდ ითვლება.

მადრიდის "რეალი" ასევე არის საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი, უეფას თასის ორგზის და ესპანეთის თასის 17-გზის მფლობელი. ეს ფრიად წარმატებული სპორტული კლუბი სტუდენტთა ჯგუფმა დაარსა და თავდაპირველად მას ეწოდებოდა "მადრიდის საფეხბურთო კლუბი" (სახელწოდება "რეალი", რაც "სამეფოს" ნიშნავს, გუნდს პირადად უწყალობა ესპანეთის მეფემ ალფონსო XIII-მ). მადრიდის "რეალი" ესპანეთის თასის გათამაშებისა და ჩემპიონატის ჩატარების ერთ-ერთი დამფუძნებელი და ინიციატორი გახლდათ. კლუბის პრეზიდენტი კარლოს პედროსი ესპანეთს წარმოადგენდა ფიფას პირველ

დამფუძნებელ კრებაზე, რომელიც 1904 წელს გაიმართა პარიზში. 1920 წელს კლუბმა, მსოფლიოში პირველმა განახორციელა ე.წ. "დიდი შესყიდვების პოლიტიკა". მაგალითად, კლუბმა ორი ათას ინგლისურ ფუნტ სტერლინგად შეიძინა რიკარდო ზამორა (ეს თანხა სარეკორდოდ გახლდათ იმ პერიოდისათვის), რომელიც დღესაც საუკეთესო მეკარედ ითვლება ესპანეთის ფეხბურთის ისტორიაში.

ესპანეთში 30-იან წლებში განადგურებული სასტიკი სამოქალაქო ომი ამ ქვეყნის სპორტსაც მტკივნეულად შეეხო - სისხლისმღვრელი ბრძოლების პერიოდში მადრიდის "რეალის" სტადიონი ნანგრევებად იქცა. იმ დროისათვის გუნდს არ გააჩნდა ახალი სტადიონის აგების ფინანსური შესაძლებლობა, სამაგიეროდ მას ჰყავდა უადრესად კომპეტენტური პრეზიდენტი, ევროპის საფეხბურთო სამყაროში ლეგენდად აღიარებული ადოლფი სანტიგო ბერნაბეუ, რომელიც ჯერ თავად თამაშობდა ამ გუნდის შემადგენლობაში, შემდეგ კი იყო მისი მწვრთნელი, მდივანი და ბოლოს "რეალის" პრეზიდენტი გახდა. მან გააჩადა გუნდისათვის საწვერო შემოწირულობების გაღების ფართო კამპანია, რის წყალობითაც საკმარის დიდ თანხას მოუყვარა თავი. მან პირველმა ააგო, აქციონირების პრინციპით, ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი საფეხბურთო კომპლექსი - სტადიონი, რომელიც დღესაც მის სახელს ატარებს. ფეხზე დასადგომი (შესასვლელი) ბილეთების რეალიზაციით ბერნაბეუმ მოახერხა გუნდის შემდგომი

განვითარების ფონდის შექმნა, რომელიც უკვე უძლებელ ძალად იყო ქვეყნის ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში პირველი ხუთი წლის განმავლობაში. ამ დროისათვის გუნდის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავად აღიარებული იყო არგენტინელი თავდამსხმელი ალფრედო დი სტეფანო. მას მოჰყვებოდა შესანიშნავი ფეხბურთელი "თანავარსკვლავედი" უნგრელი ფერენც პუშკაში, ფრანგი რაიმონ კოპა, ურუგვაელი ხოსე სანტამარია და ბრაზილიელი დიდი, რომლებიც დიდად არ ჩამორჩებოდნენ თამაშის კლასით გუნდის ლიდერს დი სტეფანოს...

დიდი შრომისა და ვარჯიშების ფასად მათ შექმნეს ფეხბურთის განუმეორებელი, სხვათაშორის (მათ შორის "რეალში" მოსული ახალბედა ფეხბურთელებისათვისაც კი) მიუწვდომელი საფეხბურთო სტანდარტი.

1966 წელს მადრიდის "რეალმა" კიდევ ერთხელ აიღო ევროპის ჩემპიონთა თასი, მეოცე საუკუნის 80-იან წლებში კი ორჯერ დაუფულა უეფას თასს. მიუხედავად ამისა, გუნდის იმდროინდელი ვარსკვლავები პირი, სანტილიანა, ხუანიტო, უგო სანჩესი და ემილიო ბუტრაგენიო საჯაროდ აღიარებდნენ, რომ მეტად უფერული ფეხბურთელები იყვნენ "რეალის" ადრეულ შემადგენლობასთან შედარებით.

მართლაც, 1960 წლის "რეალი" უდავოდ უძლიერესი საფეხბურთო გუნდი გახლდათ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. 1998 წელს მადრიდელებმა კიდევ ერთხელ მოიპოვეს ევროპის კონტინენტის უძლიერესი გუნდის წოდება ამსტერდამში გამართულ ჩემპიონთა თასის ფინალში "რეალის" ფეხბურთელებმა, რომელთა რიგებში თამაშობდნენ რაულ გონსალესი და სხვა შესანიშნავი

სპორტსმენები, ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ტურინის "იუვენტუსი". გამარჯვების გოლი პრედრაგ მიატოვიჩმა გაიტანა. ორი წლის შემდეგ კი მადრიდის "რეალი" კვლავ დაუფულა ჩემპიონთა ლიგის თასს. ამჯერად მათ "გალენსია" დაამარცხეს საკმაოდ შთამბეჭდავი ანგარიშით 3:0. ამ მატჩში განსაკუთრებით გამოიხინეს თავი ფერნანდო მორენტესმა, იუნგლისელმა ლეგიონერმა სტივ მაკნამანმა და რაულმა.

გიორგი ჯალალანია



### იუმორი

\*\*\*  
ხუთი წლის პატიმრობის შემდეგ ქმარი შინ ბრუნდება. მას ცოლი ჩვილი ბავშვით ხელში ეგებება.  
- ეს შენი შვილია?  
- რა თქმა უნდა, ჩემია, - პასუხობს ცოლი, - წესიერად რომ მოქცეულიყავი, შენიც იქნებოდა!  
\*\*\*  
- აღარ შემიძლია სიდერის ატანა!  
- მოეშვი სისულელეებს, შენი ცოლი ხომ იმან გაზარდა?  
- სწორედ მაგიტომ ვერ ვიტან!  
\*\*\*  
ოჯახური სცენა.  
ცოლი: - კაცობა არც არასდროს გქონია და ახლა კაცის ფორმასაც ჰკარგავ!  
ქმარი: - შენ ქალი კი არა, ძალი ხარ, ძალი!!!  
- აუუუუუუ!.. - აყმუფლდა ძალი.  
\*\*\*  
- შენთვის მართლა პირველი მამაკაცი ვარ?  
- სამ შვილს გეფიცები!  
\*\*\*  
- ხუთი წელი კაციჯამივთან გაგატარე! - უყვება სტუმარი რაჭველს.  
- რას მეუბნები, კაცი?! აბა, შენ ხორცი მოყვრებული გექნება და ღობილ ქე მაქვს, ბლომად.

სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ და გაზეთი „ილორი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ტეიბულში მომხდარი ტრაგედიის გამო, სადაც ერთ-ერთ შახტში მომხდარ აფეთქებას შეეწირა ოთხი ადამიანის სიცოცხლე. მანამდე კი უბედური შემთხვევი მოხდა თბილისში, რომელიც სამშენებლო ყალიბის ჩამოშლამ გამოიწვია. ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს, პოლიტი-

კურ ჭრილში გადავიყვანოთ მშრომელი ადამიანების თავს დატყევილი უბედურება, მაგრამ მსოფლიოდ იმას ვიტყვით, რომ მსგავსი ტრაგედია შეიძლება მოხდეს მხოლოდ იქ, სადაც ხელისუფლებას დიდად არ ენადგვება საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლე და ჯანმრთელობა. სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“, გაზეთი „ილორი“.



გაზეთი "საქართველო და მსოფლიო" ერთ-ერთი ლიდერი ქართულ მედიასივრცეში! მისი ძირითადი კრედიტი - შეიძლება, ზოგჯერ ძალზე მწარე, მაგრამ მაინც სიმართლე, მხოლოდ სიმართლე! მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიუკერძოებელი ანალიზი, საინტერესო პუბლიკაციები, ინტერვიუები, პრობლემათა პროფესიული, ობიექტური ხედვა, პატრიოტული სულისკვეთება და მაღალი ზნეობისადმი სწრაფვა, მყარი მოქალაქეობრივი პოზიცია, პატრიოტიზმი, პრინციპულობა და არა სიჯიუტე, ახალგაზრდა თაობის სულიერი ფორმირების პროცესებში ღრმა წვდომა, შემეცნებითი ინფორმაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ფანტასტიკა და რეალობა... ილიასინკრაზია ყოველგვარი სიყვითლისა და იაფფასიანი სენსაციებისადმი!  
ეს გაზეთი მხოლოდ სერიოზულ მკითხველზეა გათვლილი - არასერიოზულები და კულუარული იაფი ჭორ-ინტრიგების მოყვარულები ნუ გამოგვესმარებიან!  
შეიძინეთ და იკითხეთ გაზეთი "საქართველო და მსოფლიო"!

### ვაზის საოცარი ჯიშო

ფირმა "გამწვანება" კრწანისი გთავაზობთ უნიკალური ჯიშის ვაზს, რომელსაც ჩვენი შორეული წინაპრები ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში აშენებდნენ ვარძიაში ტერასებზე მოწყობილ ვენახებში. თეთრი და შავი ჯიშის ვაზი ისხამს 3-კილოგრამიან მტევნებს, რაც მთავარია, ვინცა და გველგამამლე ჯიშის ვაზი ხარობს საქართველოს ნებისმიერ კუთხეში - სუბტროპიკული ზონით დაწყებული და ალპური ზონით დამთავრებული. მას არ ჭირდება შეწამლა, რთვლობა კი შუა სექტემბერს არ სცილდება. ვაზს, რომელიც მოსავალს მესამე წელს იძლევა, არ სჭირდება მობარვა და სწორედ ამიტომაც დაარქვა ფირმის ხელმძღვანელმა ზაურ თაბაგარმა "სამეფო" და "სათავადო", რადგან ამ წრის ხალხს ქეფი უფრო ეხერხებოდა, ვიდრე ვენახის მოვლა.  
ტელ. 72-05-06.  
მის. - თბილისი, გორგასალის 52. შპს "გამწვანება" კრწანისი.